ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 17 (1455) მაისი, 1996 წელი

პატიმარ ჯაბა იოსელიანთან მისი ყოფილი თანამებრძოლების დაპირისპირების დოკუმენტური ჩანაწერები

ამ ჩანაწერებს მზის სინათლე ჯერ არ უხილავთ. პირველად ქვეყნდება.
ვიცით ატყდება ერთი რია-რია, უდანაშაულობის პრეზუმცია ირღვევაო...
პატიმართა უფლებები ილახებაო...
ატყდება და ატყდეს.
უკანონოს არაფერს ჩავდივართ.
მოპოვებული მასალების ბეჭდვას მომდევნო ნომრებშიც
განვაგრძობთ...
ამჯერად კი იხილეთ ჩვენი გაზეთის მე—3 გვ.

17 მწარე შეკითხვა ...

თენგიზ სიგუა:

არავითარი კავშირი იმ დროს ედუარდ შევარდნაძესთან ჩვენ არ გვქონია

მე-2 გვ.

26 მაისი

მთავრობას ოვაციებს უმართავენ, ყვავილებს ესვრიან...

ქალაქის ქუჩები და სახლები ბევრ ალაგას წინადღითვე იყო მორთულ-მოკაზმული და დროშები გამოფენილი, ხოლო 26 მაისს კი ქალაქმა ადრე დილითვე მიიღო უკვე სავსებით სადღესასწაულო სახე...

მთავრობის თავმჯდომარე სხვებთან ერთად გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ.

გზაში ხალხი „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ძახილით მიეგება მათ. ყოველი მხრიდან ტაშის კვრა, მთავრობას ოვაციებს უმართავენ, ყვავილებს ესვრიან.

26 მაისის დღეს მიეცა სახალხო დღესასწაულის შინაარსი, როგორც უწინ დიდ საეკლესიო დღესასწაულებში, სწორედ ისე ამ დღეს ადგილები დაფარული იყო სოფლიდან ჩარდახიან ურმით ჩამოსულ გლეხების და ქალაქელთა მიერ და ქეიფობდნენ საღამომდე.

გაზ. „ერთობა“ 1920 წ. №17

ოქმი

კავბიუროს და საქ.კპ.ცკ-ს სხდომისა

ესწრებოდნენ: ამხ. ორჯონიკიძე, კიროვი, ნაზარეთიანი, მიასნიკოვი, ფიგატნერი, მახარაძე, ორახელაშვილი, ქავთარაძე, დუმბაძე, ელიავა, ცინცაძე, ბიგვაძე და თუმანოვი.

მოისმინეს: 26 მაისის, როგორც საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების წლისთავის დღესასწაულობის შესახებ.

დაადგინეს: საქართველოს დამოუკიდებლობის დღის — 26 მაისის დღესასწაულობის სადაველები მტკიცედ იქნას ხელში აღებული.

ამ დღისათვის გაიშალოს ფართო აგიტაცია პრესაში და ზეპირად დამოუკიდებლობის ჩვენებური, კომუნისტური გაგების შესახებ იმ აზრით, რომ დამოუკიდებლობა ჩვენ გვესმის, როგორც სოლიდარობა საბჭოთა რესპუბლიკებთან და ანტანტის სახელმწიფოებისაგან ჩამოშორება.

მიეცეს წინადადება საქ.რევკომს, რათა სასწრაფოთ იქნას გამოცემული დეკრეტი მენშევიკური საქართველოს ეროვნული დროშისა და ღერბის გაუქმებისა და წითელი ჩაქუჩნამგლიანი სახელმწიფო დროშის შექმნის შესახებ.

მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების პირველსავე სხდომაზე წამოყენებულ იქნას საკითხი დამოუკიდებლობის დღესასწაულის 26 მაისიდან 25 თებერვალს გადატანის შესახებ.

(საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფონდი 14, საქმე 5, ფ. 18. 1921 წ.)

თარგმანი რუსულიდან

უზარმაზარი და საშიშარი მანიფესტაცია შავი დროშით გაემართა ლენინის ქუჩისაკენ

26 მაისს დღის 12 საათზე დაიწყო თავის მოყრა სტუდენტებისა, კურსანტებისა და მოსწავლეებისა და ეს უზარმაზარი და საშიშარი მანიფესტაცია შავი დროშით გაემართა ლენინის ქუჩისაკენ, მაგრამ მათ ვერც კი მოახერხეს ქუჩის მორევიდან გამოსვლა, რომ აქ მათ დახვდათ ჩასაფრებული მილიცია და დააპატიმრეს 170 კაცი.

მაიდანზეც გაიმართა მანიფესტაცია შავი დროშით, რომელიც მეტეხის ციხისაკენ წასულა დაპატიმრებულთა სოლიდარობის მიზნით, მაგრამ მილიციელებს გაუფანტავთ...

გაზ. „კომუნისტი“ 1922 წ. 28 მაისი

“ამ უზარმაზარ, სიმდიდრით უხვ დედამიწაზე
მცირე ნაჭერი მოგვეცა და იმას დავჯერდით.
ღირსი ხარ, ღმერთო, ამისთვისაც დიდ მადლს გწირავდეთ,
მაგრამ თან რატომ ჩაგვისახლე რუსის ჯარები?!“

ტერენტი ყიფიანი 1942 წ.

**რა ითქმება 1996 წლის 26 მაისზე მომავალში?
რას ესვრის ხალხი მთავრობას ან მთავრობა ხალხს?..**

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 მწარე შეკითხვა და თენგიზ სიგუას პასუხები

გაგრძელება. დასაწ. იხილეთ „საქართველო“ №16

5. გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველი იყო თუ არა პირადი განაწყენება იმის გამო, რომ გამსახურდია აღარ გთვლიდათ თავისი გუნდის წევრად?

— პირადი განაწყენების არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ჩემს გადადგომამდე (1991 წლის 17 აგვისტო) ჩვენს შორის ურთიერთობა უაღრესად კორექტული იყო. ცხადია, იყო დავა და კამათი მთელ რიგ საკითხებზე, მაგრამ ისინი ეთიკურ ნორმებს არასოდეს გასცილებია.

პირველ მნიშვნელოვან უთანხმოებას ადგილი ჰქონდა 1991 წლის აპრილის დასაწყისში, როდესაც მან რესპუბლიკის თვითბლოკადა გამოაცხადა. ჩაიკეტა რესპუბლიკის სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო გასასვლელები. რესპუბლიკაში არაფერი არ შემოდიოდა და არც გადიოდა. აღნიშნული განკარგულება მას ჩემთან არ შეუთანხმებია (მანამდე ყველა გადწყვეტილებას ჩემთან, როგორც წესი, თანხმებდა). მე შეეცადე ამეხსნა მისთვის, რომ ეს ნაბიჯი რესპუბლიკის ეკონომიკას მნიშვნელოვნად დაზარალებდა. ვაცნობე ისიც, რომ დაჰირეკა საკავშირო რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრმა (შემდგომში ტელეფონოგრამაც მიეღო აღნიშნული სამინისტროდან) და მითხოვა დროზე მოგვეხსნა ბლოკადა, წინააღმდეგ შემთხვევაში შვიდი ეშელონი საქართველოსთვის განკუთვნილი ტვირთისა (სურსათი, საშენებლო მასალები, მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ნედლეული, მსუბუქი მრეწველობისათვის, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები და ა.შ.), რომლებმაც თავი მოიყარეს ადლერის სარკინიგზო კვანძზე, გადანწილდებოდა კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში. ვერ დავარწმუნე. იგი მიმტკიცებდა, რომ ამ ნაბიჯით „დააოქვებდა“ ცენტრს და აიძულებდა დათმობებზე წასულიყო ყოფილი სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარებისას.

ბლოკადის მოხსნა მოხერხდა მხოლოდ 1991 წლის 29 აპრილს, დასავლეთ საქართველოში ცნობილი კატასტროფული მიწისძვრის შემდეგ. იმავე დღეს ჩვენ მოვიარეთ სტიქიით დაზარალებული რეგიონები და ღამით ქუთაისში ყოფნისას დავარწმუნე ბლოკადის მოხსნის აუცილებლობაში. ზემოაღნიშნული ტვირთი საქართველოში, ცხადია, აღარ შემოვიდა და საერთო ზარალმა 400 მილიონ მანეთი შეადგინა.

მაისის დასაწყისში სერიოზული კამათი გვქონდა პურის ფასთან დაკავშირებით. საპრეზიდენტო არჩევნების წინ მან ისევ შეუთანხმებლად გამოსცა განკარგულება პურის გაიაფების შესახებ. იმჟამად მთელს საბჭოთა კავშირში 1 კგ პურის საშუალო ფასი 1 მანეთს შეადგენდა, ხოლო მან იგი 40 კაპიკამდე შამცირა, რის შედეგადაც დაიწყო ხორბლეულის, ფქვილისა და გამომცხვარი პურის გადინება რესპუბლიკიდან. ელემენტარული ეკონომიკური კანონია — საქონელი გაედინება იქიდან, სადაც იგი იაფია, იქ, სადაც იგი ძვირია (იმჟამად ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ვიმყოფებოდით). ერთ თვეში ხორბლეულზე და ფქვილზე უკვე დაძაბული სიტუაცია შეიქმნა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ იაფფასიანი წინასაარჩევნო „ტრიუკის“ არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა.

სერიოზული კამათი მოგვივიდა იუნისშიც, როცა მან განმიცხადა, რომ მეცნიერებათა აკადემიიდან ორი აკადემიკოსი უნდა გავაძევო (აწ განსვენებული გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი მერაბ ალექსიძე და ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჭავჭავაძე). მე მას ვუსაბუთებდი, რომ ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, რომ ამდგვარი ქმედების მხოლოდ ერთი პრეცედენტი არსებობს, როცა ჰიტლერმა გერმანიის აკადემიიდან დაითხოვა ალბერტ აინშტაინი. ისიც შევახსენე, რომ საბჭოთის იდეოლოგის მ.სუსლოვის ექვსწლიანი ბრძოლა აკადემიკოს ა.სახაროვის საკავშირო აკადემიიდან გაძევების მიზნით უშედეგოდ დამთავრდა. და ბოლოს ჩემს შენიშვნაზე, რომ ეს კანონის უხეში დარღვევა იქნებოდა, მან მიპასუხა — „კანონი მე ვარო“. მართალია, განზრახვის განხორციელება გადავიფიქრებინე, მაგრამ მისმა ბოლო ფრაზამ სერიოზულად დამაფიქრა.

კამათი მოგვდიოდა იდეოლოგიურ საკითხებშიაც. ჩემთვის მიუღებელი იყო, როცა მთელ ქართულ ინტელიგენციას, პირველ რიგში სამეცნიერისა და შემოქმედებითს, სხვადასხვა იარლიყები ეწებებოდა („ერის მოღალატე“, „კრემლის აგენტი“, „ხუკის აგენტი“ „წითელი პროფესორა“ და სხვა). აბსოლუტურად მიუღებელი იყო ჩემთვის ის ქმედებებიც, რასაც ადგილი ჰქონდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თაობაში“.

ზემოთ აღვნიშნე, რომ თავიდან საკმაოდ დიდი თავისუფლება მომეცა მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებისას, მაგრამ ბოლო პერიოდში იყო ზეწოლის ფაქტები. კერძოდ, ზ.გამსახურდიამ შემოთავაზა ვაჭრობის მინისტრად დანიშნულიყო საქარხნო-საფაბრიკო სკოლის კურსდამთავრებული კოპალიანი, ეს მაშინ, როდესაც მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრაზე ოცზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი მუშაობდა. მე კატეგორიული უარი განვუცხადე და ისე გადავდექი, რომ ამ დანაშაულს ხელი არ მოვაწერე.

1991 წლის 15 აგვისტოს მე ოფიციალურად განვუცხადე ზ. გამსახურდიას ჩემი გადადგომის შესახებ, მან მთხოვა არ გადამედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო იყო. იმავე დღეს, საღამოს ჩემთან მოვიდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი აკაკი ასათიანი. ჩვენი საუბარი რამოდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა. იგი მარწმუნებდა, რომ მე უკან უნდა წამელო ჩემი განცხადება. მიუხედავად ჩვენს შორის არსებული ჭეშმარიტად კეთილგანწყობილი დამოკიდებულისა, მე მაინც ჩემს პოზიციაზე დავრჩი.

ამდენად, მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩემს გადადგომამდე ჩვენს შორის ურთიერთობა სავსებით კორექტული იყო და რაიმე განაწყენებაზე საუბარი არასწორია.

6. თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ 1991 წლის 21 დეკემბერს პირველი გაისროლეს ოპოზიციის წინააღმდეგ მთავრობის სასახლიდან, არადა სერიოზული ხმებია იმის შესახებ, რომ შეიარაღებული გზით გამსახურდიას ჩამოგდება წინასწარ იყო დაგეგმილი.

— დიახ, მე მართლაც არაერთხელ მითქვამს, რომ სროლა პირველად მთავრობის სასახლიდან მოხდა, მაგრამ ჩემს სიტყვებს ამ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენ ხომ დაინტერესებულ მხარეს წარმოვადგენთ. ჩემის აზრით, ამ ფაქტის დადგენისას უფრო საინტერესოა მოპირისპირე ბანაკის წარმომადგენელთა ჩვენებები და სატელევიზიო გამოსვლები. 1992 წ. იანვარში მთავრობის სასახლიდან ცეცხლის გახსნის ფაქტი დაადასტურეს თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ვეფონ ფირცხალაიშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ რომან გეგეჭკორმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბესიკ ჭეთაოელაძემ და სხვებმაც. არსებობს ვიდეოფირი, რომელზედაც აღბეჭდილია ამ ტრაგედიის დაწყების პირველივე წუთები.

არსებობს უამრავი მოწმე, რომლებიც დაადასტურებენ, რომ იმჟამად სამხატვრო გალერეის მიდამოებში, რუსთაველის პროსპექტზე, იმყოფებოდა სულ 12 გვარდიელი, რომელთაგან ავტომატური იარაღი ჰქონდათ მხოლოდ ხუთს თუ ექვსს, მაშინ როდესაც მთავრობის სახლში მაშინ თავმოყრილი იყო 1000-ზე მეტი შეიარაღებული პიროვნება (გვარდიის ნაწილები ლ.ქობალიას სარდლობით, ქ.თბილისის პოლიცია და ომონი, საქართველოს რაიონებიდან ჩამოყვანილი პოლიციელები და სხვა). გარდა ამისა, მთავრობის სასახლის მოპირდაპირე მხარეს, მხატვრის სახლშიც პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმები იმყოფებოდნენ.

ამდენად, საღ აზრს აბსოლუტურად მოკლებულია იმის მტკიცება, რომ 12-მა სანახევროდ შეიარაღებულმა გვარდიელმა გაუხსნა ცეცხლი და შეუტია „ციტადელში“ მყოფ 1000 კაციან შეიარაღებულ რაზმს.

რაც შეეხება კითხვაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს იმ მიტინგზე იყო საუბარი „ხვალ“ ე.ი. 22 დეკემბერს ტელევიზიტების მოწყობის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს. მიტინგი დამთავრდა იმით, რომ 22 დეკემბერს, იქვე ოთხ საათზე გაიმართებოდა მიტინგი.

7. დეკემბერ-იანვრის ბრძოლების დროს გემორჩილებოდნენ თუ არა კიტოვანი და იოსელიანი? როგორ იყო განაწილებული თქვენს შორის ფუნქციები?

— არა, არ მემორჩილებოდნენ. ჩვენ სხვადასხვა ფუნქციები გვქონდა. მე მეკალთობდა დელეგაციების მიღება, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრა, თბილისში ჩამოსულ მისიებთან შეხვედრების ორგანიზება, სიტუაციის ანალიტიკური შეფასება, პრესკონფერენციების მომზადება და ჩატარება. მაშინ უამრავი ხალხი მოდიოდა ჯერ სასტუმრო „თბილისში“, ხოლო შემდგ ინტერ-ის შენობაში. არ შეიძლება არ აღვნიშნო რამოდენიმე მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა.

24 დეკემბერს, საღამოს, სასტუმრო „თბილისში“ მოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში ღრმად პატივსაცემი და ჩემთვის ახლობელი ადამიანები იყვნენ. მათ თავის თავზე აიღეს საშუამავლო მისიის როლის. შესრულება: დაპირისპირებულ მხარეებთან მოლაპარაკების ჩატარების შედეგად საბრძოლო მოქმედებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტის მიზნით. მოლაპარაკების შედეგად, ჩვენი მხრიდან დელეგაციას მიეცა ნდობის მანდატი, მაგრამ მეორე მხრიდან ამ მისიის კეთილ ნებას შესაბამისი გამოხმაურება არ მოჰყოლია და ძალზე საწყენია, რომ იგი უშედეგოდ დამთავრდა.

27 დეკემბერს, მივიღეთ შეტყობინება, რომ ნახევარ საათში თბილისის აეროპორტში დაეშვებოდა Ту—134 მარკის თვითმფრინავი გროზნოდან, რომელშიც ზ.გამსახურდიას მხარდამჭერი ჩეჩენი „ბოევიკები“ იმყოფებოდნენ. თ.კიტოვანის განკარგულებით, აეროპორტში დაუყოვნებლივ გაიგზავნა გვარდიელთა რაზმი გია გულუასა და გია ყარყარაშვილის მეთაურობით. მათ აეროპორტშივე განაიარაღეს „ბოევიკები“ (აღნიშნული აქცია ვიდეოფირზეა აღბეჭდილი). ამავე თვითმფრინავში იმყოფებოდა ჩეჩნეთის ოფიციალური დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის შამილ შამოს ხელმძღვანელობით, რომელიც სასტუმრო „თბილისში“ მოიყვანეს. მოლაპარაკების შედეგად ჩვენმა მხარემ მათ მისცა რწმუნება დაპირისპირებულ მხარეთა შორის შუამავლის როლის შესრულებისა (აღნიშნული მოლაპარაკების მიმდინარეობა ვიდეოფირზეა გადაღებული). მაგრამ, მეორე მხარესთან შეხვედრამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და დელეგაცია მეორე დღეს გაფრინდა გროზნოში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ორი თუ სამი დღის შემდეგ მთელი ჩამორთმეული იარაღი (25 ავტომატი და 9 თუ 10 პისტოლეტი) სპეცრეისით გადაიგზავნა გროზნოში.

27 დეკემბერს სასტუმრო „თბილისში“ მოვიდნენ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ გიორგაძე და მინისტრის მოადგილე ბესიკ ჭეთაოელაძე. მოლაპარაკებისას მხარეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში რესპუბლიკაში მოხდა შეურიგებელი დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რამაც გამოიწვია რესპუბლიკაში ვითარების მკვეთრი დესტაბილიზაცია. ხელისუფლებამ აირჩია ოპოზიციურ ძალებთან კონფრონტაციის გზა და მასთან შეიარაღებული დაპირისპირება, რასაც მოჰყვა სისხლისღვრა.

შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ რესპუბლიკაში სისხლისღვრის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისათვის შეიქმნას მხარეების წარმომადგენელთა მონაწილეობით დროებითი სამხედრო და სამართალდამცავი ორგანოების საბჭო, რომელშიაც შევლენ ხელისუფლების მხრიდან:

1. დილარ ხაბულიანი — შინაგან საქმეთა მინისტრი
2. ვლონი ხეცურიანი — იუსტიციის მინისტრი
3. თამაზ ნინუა — ეროვნული უშიშროების მინისტრი
4. ნოდარ გიორგაძე — თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე
5. ბესიკ ჭეთაოელაძე — თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

ოპოზიციის მხრიდან:

1. თენგიზ კიტოვანი — ეროვნული გვარდიის სარდალი
2. გია ყარყარაშვილი — ერო-

გაგრძელება მე-4 გვ.

არავითარი კავშირი იმ დროს ედუარდ შევარდნაძესთან ჩვენ არ გვქონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმარ ჯაბა იოსელიანთან მისი ყოფილი თანამებრძოლების დაპირისპირების დოკუმენტური ჩანაწერები

საზოგადოებამ იცის, რომ დამთავრდა ჯ.იოსელიანის საქმის გამოძიება 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით. ძიების პროცესში მას კიდევ სხვა ბრალდებებიც წარედგინა სამოქალაქო ომის დროს „მხედრიონის“ მიერ ზუგდიდის რაიონის დარბევის გამო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 1993 წლის 2 ნოემბერს, სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცემული ბრძანება „საომარი მოქმედების რაიონებში მოროდიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საგანგებო ზომების გაძლიერების შესახებ“, მხედრიონელთა მიერ უგულვებელყოფილი დარჩა. უკვე 6-11 ნოემბერს ისინი ზუგდიდს არბევენ. 12-13 ნოემბერს კი ისვენებენ (გამოძიებამ დაადგინა, რომ მხედრიონელები შაბათ-კვირას ასეთ ოპერაციებს არ ატარებდნენ), 14-16 ნოემბერს სოფლებს დარჩელსა და ანაკლიას იკლებენ. 16 ნოემბერს სოფელ დარჩელიდან წამოსვლის შემდეგ, ახალკახთთან დამაკავშირებელ გზაზე 8-10 კაცზე ნადავლის წართმევის მიზნით ხდება გაურკვეველ პირთა თავდასხმა, რის შედეგადაც 2 კაცი დაიღუპა, რამდენიმე კი დაიჭრა.

იმავე დღეს ეს ამბავი მიუვიდათ ზუგდიდში მყოფ შტაბის უფროსს დ.გუგეშაშვილს, ვ.ქრისტესაშვილს და კომენდანტ ზ.პაიჭაძეს. მათ შეაიარაღეს დაახლოებით 80—100 კაცი. 16 ნოემბერსვე რუსთავის გაერთიანება „აზოტიდან“ გატაცებული „იკარუსით“ ჩავიდნენ შემთხვევის ადგილას და 14-დან 17 საათამდე აწარმოეს დამსჯელი ოპერაციები. ძარცვა-გლეჯასთან ერთად მოხდა სახლების დაწვა, დაზიანება და მოქალაქეთა ქონების განადგურება. გამოძიებამ დაადგინა, რომ ნადავლის ტრანსპორტირება ჯ.იოსელიანის დახმარებით მოხერხდა და საერთოდ მთლიანად ზუგდიდის რაიონის დარბევა ჯ.იოსელიანის სიტყვებმა — „მიეცით ზუგდიდი სანავარდოდ ბიჭებს“ — გამოიწვია.

ამის დამადასტურებლად მოგვყავს ამ ფაქტთან დაკავშირებით მონმეთა დაპირისპირებების ოქმები თავად ჯ.იოსელიანთან. ვფიქრობთ, წარმოდგენილ მასალას მკითხველი დამოუკიდებლად შეაფასებს და სათანადო დასკვნებსაც თავად გამოიტანს. ამიტომაც კომენტარისაგან თავს ვიკავებთ.

დილიდანვე უკვე მოდიოდა ზუგდიდის მხრიდან მსუბუქი ავტომანქანები ნაკადებად...

1996 წლის 11 მარტი. ოთარ ჩახუნაშვილის დაპირისპირება ჯ.იოსელიანთან.

ო.ჩახუნაშვილი: 1993 წლის ნოემბრის დასაწყისში მე დავინიშნე ხობის კომენდანტად. 5 ან 6 ნოემბერს ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები ბატონი ჯ.იოსელიანი, კავშირგაბმულობის მინისტრი და სხვები. პოლიციის უფროსის კაბინეტში ჩატარდა თათბირი, რომელზეც იხილებოდა ქ.ზუგდიდში შესვლის საკითხები. თათბირს ატარებდა სახელმწიფოს მეთაური და ესწრებოდნენ: ჯ.იოსელიანი, ფ.ინჯია, მე, გაბაშვილი, ხობის გამგეები თ.გერგაია, ე.ჩარგაზია, ფ.ადამია, ზ.პაიჭაძე. თათბირზე გადაწყდა, რომ მეორე დღეს, 6 საათზე სამთავრობო ძალები შესულიყვნენ ზუგდიდში. ქ.ზუგდიდის გამგებლად დაინიშნა ე.ჩარგაზია, პოლიციის სამმართველოს უფროსად კ.ადამია, ხოლო კომენდანტად ვიცოდით, რომ უნდა დანიშნულიყო ან ჩარგეიშვილი ან გივი ყვარელაშვილი. მაგრამ იქ, თათბირზე გადაწყდა, რომ ზაზა პაიჭაძე დანიშნებოდა ზუგდიდის კომენდატად. მე პირადად გამიკვირდა ეს გადაწყვეტილება. როდესაც დასახელეს ზაზა პაიჭაძის კანდიდატურა, ბატონმა ჯაბა იოსელიანმა უთხრა: „ზაზა შენ იცი, ერთი მერსედესი შენსია“. და ყველამ იქ გაიცინა... მეორე დღეს ყველა ძალა შევიდა ზუგდიდში. რამდენადაც ვიცი, იქ შესვლასთან დაკავშირებით არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქონდა ადგილი. მე ვიმყოფებოდი ხობში, პოლიციის შენობა ძირითად მაგისტრალზე არის განლაგებული. დილიდანვე უკვე მიდიოდა ზუგდიდის მხრიდან მსუბუქი ავტომანქანები ნაკადებად. დინება აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით გაგრძელდა ძირითადად ორი დღის განმავლობაში. იმ დღეს, როცა სამთავრობო ძალები შეიყრნენ ზუგდიდში, ბრელდებოდა, როდესაც პოლიციის ეზოს წინ გაჩერდა დაახლოებით 20 ხუადასხვა მარკის მსუბუქი ავტომანქანა. მე მეშინოდა, რომ რაიმე თავდასხმას ადგილი არ ჰქონოდა, ვინაიდან მანქანაში მჯდომი პირები ყველა შეიარაღებული იყო. მე ერთ-ერთი თანამშრომელი გავუშვი, რომ გაეკითხა, თუ რა ხდებოდა. იგი შემდგომ მოვიდა და მითხრა: „ჩვენ მოვდიოდით სენაკისკენ. ბატონი ჯაბა შეგვეხვდა, გაგვაჩერა და გვითხრა: სიბნელეში ღამე ნუ მიდიხართ. ტრასაზე დგაეაჩაღებენ. მანქანებს წაგართმევენო. მილიციასთან იდექით, შეგროვდით, მაინც დაცული იქნებით და დილით წასვალთო“. დილით ყველანი წავიდნენ. მეორე დღეს პოლიციის თანამშრომლები მოდიოდნენ სენაკიდან. გამომიარეს და მითხრეს, რომ რუსებმა სენაკთან გაანერეს 30 მანქანა და არ უშვებდნენ, მაგრამ ჯაბა იოსელიანი მივიდა და გააშვებინაო მე ასე მითხრეს, რამდენად სწორია, არ ვიცი.

ჯ.იოსელიანის პასუხი: მე მოვისმინე ჩემს წინაშე მჯდომი პიროვნების ჩვენება, შეიძლება ყველაფერი ასე იყო, მაგრამ მე დაზუსტებით არ მახსოვს დეტალები. რადგანაც ომის პერიოდი იყო. სად რა ვთქვი ხუმრობით ან სერიოზულად არ მახსოვს:

მყავს სამი შვილი, მაქვს ოჯახი. გამოძიების პროცესში მას მეტჯერ მე არ დავუპირისპირდები

1996 წლის 15 მარტი, ზაზა პაიჭაძის დაკითხვის ოქმი

მე დავუპირისპირდი ჯაბა იოსელიანს, სადაც განვმარტე, რომ 1993 წლის 5 ან 6 ნოემბერს ხობში პოლიციის შენობაში შედგა თათბირი, სადაც ბატონ ჯაბა იოსელიანის რეკომენდაციით სახელმწიფოს მეთაურმა დამნიშნა ქ.ზუგდიდის კომენდანტად. მე იქ მომილოცეს კომენდანტად დანიშვნა, მათ შორის ჯ.იოსელიანმა, რომელმაც მითხრა „ერთი მერსედესი შენსეაო“, მაგრამ იქ, თათბირის დამთავრების შემდეგ, ხალხთან საუბრისას განაცხადა: „ბიჭები ტყეიაზე მიდიან, დაღლილები არიან, უნდა დავასვენო და სამი დღე უფლება უნდა მივცე ზუგდიდში გაიარ-გამოიარონო“. მე გავიგონე ეს სიტყვები, მაგრამ ვერაფერი ვერ ვთქვი.

მოგახსენებთ, რომ ჯ.იოსელიანთან დაპირისპირების პერიოდში ვერ ვთქვი სრული სიმართლე, რაც განცხადებაში მქონდა მოყვანილი და რაც ჩვენებაში მქონდა მიცემული. ამის მიზეზი არის ის, რომ მე მაქვს ამ კაცის მიმართ შიშის სინდრომი. მას ჯერ კიდევ გააჩნია გავლენა და ძალა საქართველოში. მყავს სამი შვილი, მაქვს ოჯახი. მეშინოდა იმისა, რომ ამ მოსიკლას ცოლ-შვილი, შვობლები. გამოძიების პროცესში მას მეტჯერ მე არ დავუპირისპირდები. ადრე მიცემულ ჩვენებებს ვადასტურებ და კიდევ ერთხელ მინდა განვმარტოთ შემდეგი, რომ მე ჯ.იოსელიანის ინიციატივით დავინიშნე ხობში ზუგდიდის კომენდანტად, რაც გადაწყვეტილი იყო ჯერ კიდევ სენაკში. როცა გავიგონე ჯაბას სიტყვები ხობში თათბირის დამთავრების შემდეგ „მხედრიონელი ბიჭები გადაღლილები არიან, ტყეიაზე მიდიან, სამი დღე უნდა მივცე მათ უფლება ქ.ზუგდიდში გაიარ-გამოიარონო“, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები, ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ სიტყვა ვერ შევუბედე. შიშისგან ვერც ის ვუთხარი, რომ აღარ მსურს კომენდატობა-თქო, რადგანაც ამ ნაბიჯის გადადგმას შეიძლება ჩემი ოჯახის წევრების და პირადად ჩემი ტერორი, განადგურება მოყოლოდა. მართლაც, ზუგდიდში შესვლისთანავე დაწყო მასიური ყაჩაღობები, ძარცვები, ავტომანქანების გატაცებები. მე ჩემს მოვალეობას ვერ ვასრულებდი. ვერ აღვკვეთე ქალაქში ბანდიტური თარეში. ან როგორ შევასრულებდი, როდესაც ნება იყო. მითითება იყო გაცემული ჯ.იოსელიანისაგან, რომ „გაიარ-გამოიარეთ“ ზუგდიდში. მე უძლური ვიყავი. ამის შესახებ არავისთვის, მათ შორის ჯ.იოსელიანისთვისაც კი არ მიმიმართავს. მოდიოდნენ შტაბში დაზარალებულები, ეპირდებოდი დახმარებას, მაგრამ ფაქტიურად ვერ ვეხმარებოდი. ამის დამადასტურებელი მომენტები მახსოვს. გივი ლომინაძემ პოლიციის უფროსის ოთახში ყოფნის პერიოდში დამიძახა და მაჩვენა ქალბატონი, რომელსაც სახე და ხელები ჰქონდა ჩალურჯებული ცემისგან. მითხრა: მიაქციე ყურადღება, რომ ასეთი რამ არ განმეორდესო... ეს ქალბატონი ერთი კვირის შემდეგ ჭახე კომენდატურის ოთახში, სადაც მოხოვა, რომ დავხმარებოდი, რათა არ მოსხდარიყო მისი ოჯახის აწოკება განმეორებით. მე იგი დავამშვიდე და გავუშვი. ძალიან ბევრი დაზარალებული თხოვნით მოდიოდა ჩემთან, მათ შორის მოხოვეს გივი ლომინაძემ და ოთარ ფაცაციამ, რომ დავხმარებოდი და აღმოეფხვრა ეს უსაგავსობა, რაც იქ იმსანად მიმდინარეობდა. ჩემი ყველანაირი ცდა ამაო იყო, რადგანაც ისინი ე.ი. „მხედრიონელები“ და მასზე მიტმასნილი პირები მეუბნებოდნენ: „შენ ვინ გეკითხება, ქალაქი ჩვენსა მოცემულია“. ამდენად, ვერ ვახორციელებდი ვერანაირ ღონისძიებებს.

რა ვითარებაში ვთქვი – მე ბიჭებს სამი დღით უნდა მივცე ზუგდიდიო?

1996 წლის 19 მარტი. ფრიდონ ადამიას დაპირისპირება ჯ.იოსელიანთან

ფრიდონ ადამია დასაწყისში ხობისა და ზუგდიდის იმ მოვლენებს ეხება, რაზეც ზემოთ უკვე სხვა ჩვენებებშიც ითქვა, ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ შემდგომ გამართულ დიალოგს.

ჯ.იოსელიანი: მე ნაწილობრივ ვეთანხმები ფ.ადამიას ჩვენებებს, დასაზუსტებელი მაქვს რიგი საკითხები... რა ვითარებაში ვთქვი — მე ბიჭებს სამი დღით უნდა მივცე ზუგდიდიო?

ფ.ადამია: 6 ნოემბერს ხობში პოლიციის უფროსის კაბინეტში ითქვა თქვენს მიერ ზემოთაღნიშნული სიტყვები. იქ იყო დეპურ მიქაძე, ლანჩავა, სახელმწიფოს მეთაური ე.შევარდნაძე... მე გავიგონე ეს სიტყვები.

შეკითხვა ჯ.იოსელიანს: ეთანხმებით თუ არა ფ.ადამიას ჩვენებას?

ჯ.იოსელიანი: მე პირადად ეს ამბავი არ მახსოვს — რა ვითარებაში ვთქვი, ან რატომ, რა კონტექსტში ეს სიტყვები. რახან გაიგონეს იქ მყოფებმა, ეტყობა, რაღაც მიხეზრია. ზოგს იუმორის გრძნობა აქვს, ზოგს კი ეს გრძნობა არ გააჩნია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ARAFIXIARI KAVSHIRI IM DROS EDUARD SHEVARDNAZESTAN CHVEN AR GVKONIA

მეორე გვერდიდან

ვნული გვარდიის სარდლის მოადგილე

3. ვაჟა ადამია — უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

4. ვახტანგ რაზმაძე — ყოფილი გენერალური პროკურორი

5. ჯემალ ჭუმბურიძე — ეროვნული გვარდიის საქართველოს უფროსი.

შეთანხმდნენ, რომ 1991 წლის 27 დეკემბერს, 24 საათზე საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის შენობაში შესდგებოდა სახხედრო და საპარლამენტო ორგანოების დროებითი საბჭოს სხდომა. საწყისროდ, ზ.გამსახურდიამ ამ სხდომაზე თავისი წარმომადგენლები არ გამოგზავნა და კიდევ ერთი მცდელობა სისხლისღვრის შეწყვეტისა ჩაშალა. (არსებობს კომუნიკე ამ შეხვედრის თაობაზე).

1992 წლის პირველ იანვარს თბილისში ჩამოვიდა ხომხეთის საპარლამენტო დელეგაცია პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანის რწმუნებით, საშვიდობო მოლაპარაკებაში შუამავლის როლის შესასრულებლად. ჩვენს მხარესიან შეხვედრა მოხდა იმელის შენობაში და ამ დელეგაციას მიეცა შუამავლის მანდატი. მაგრამ ზ.გამსახურდიასთან შეხვედრისას დელეგაციამ ვერ მიაღწია თანხმობას საბრძოლო შეხვედრის მოწყობის შესახებ და ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

რაც შეეხება სახხედრო ხელმძღვანელობას, 27 დეკემბრამდე მას ახორციელებდა თ.კიტოვანი. ხოლო ამ თარიღის შემდეგ ჯ.იოსელიანიც (27 დეკემბერს სუკი-ს საკრებიდან ეროვნული გვარდიის ტყიბულის ბატალიონის მიერ განთავისუფლებული იყვნენ ჯ.იოსელიანი, გ.ჭანტურია, გ.სანიდრაკა და სხვები, სულ 28 კაცი).

8. არის აზრი იმის შესახებ, რომ გადატრიალება მოეწყო მოსკოვის შეკვეთით, რომ მოსკოვიდან იღებდით ტელეფონით კონსულტაციებს. გქონდათ თუ არა იმ დროისათვის შევარდნაძესთან კავშირი? შევარდნაძის როლი როგორი იყო იმ მოვლენებში? ხოლო თუ შევარდნაძე ამ პროცესებში ჩართული იყო. მაშინ რატომ იყავით თქვენ და თენგიზ კიტოვანი მის პირველკაცად დაბრუნების წინააღმდეგი?

— არავითარ კონსულტაციებს ადგილი არ ჰქონია არც მოსკოვთან და არც რომელიმე სხვა რესპუბლიკის დედაქალაქთან. მე მხოლოდ ერთხელ დავრეკე ქ.ბაქოში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ა.მუტალიბოვის კანცელარიაში იმ მიზნით, რომ დამეზუსტებინა საგარეო ფრანს პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ზ.გამსახურდიამ გამოთქვა სურვილი საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლისა. შესაბამისი შინაარსის მიმართვა საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატებმა გადასცეს ა.მუტალიბოვს, რომელმაც თავის მხრივ ინფორმაცია ამის თაობაზე გადასცა რუსეთის პრეზიდენტს ბ.ელცინს. რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ეს საკითხი უნდა განხილულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურების თათბირზე 1991 წლის 30 დეკემბერს. ა.მუტალიბოვის კანცელარიამ დაადასტურა ამ ინფორმაციის მართებულობა.

არავითარი კავშირი იმ დროს ე.შევარდნაძესთან ჩვენ არ გქონია. ასეთი კავშირი რომ ჰქონოდათ თ.კიტოვანს ან ჯ.იოსელიანს, მე უთუოდ მეცოდინებოდა. თუმცა, როგორც პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე გამოსვლისას ე.შევარდნაძემ აღნიშნა, იმ დროსაც და მას შემდეგაც მათთან ძალიან ჩადიოდნენ საზოგადოებრივი-ობისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

რევაზ ყიფიანი:

ჯაბა ამბობს ცოტაზე წამალიაო, როდესაც ძლიერი ნარკოტიკული საშუალებაა...

ჩვენი დღევანდელი ნომრის რესპონდენტი, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ბატონი რევაზ ყიფიანი ამ სისტემაში მართლაც ნესიერად მსახურობს თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. დღემდე ორდენი და ჯილდო მას არ ჰქონია და თუ იმ სახელმწიფოს რაობას გავითვალისწინებთ, რომელ სახელმწიფოშიც (სსრკ-ში) მას უხდებოდა მოღვაწეობა, ეს ფაქტი მის ღირსებადაც უნდა ჩაითვალოს. ამ დღეებში კი პრეზიდენტმა მას ღირსების ორდენი გადასცა, რასაც გულწრფელად ვულოცავთ ბატონ რევაზს, ხოლო ხუმრობაგაშვებით იმასაც დავსძენთ, რომ ეს ორდენი მისთვის ღვაწლის დაფასების გარდა სხვა მხრივაც აუცილებელი იყო. იგი ხომ „მხედრიონის“ საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობს. ციხეში კი სულ ორდენოსანი მხედრიონელები არიან დაჭერილნი. უორდენო პროკურორი ორდენოსან პატიმრებთან აბა როგორი წარმოსადგენია...

— ბატონო რევაზ, თქვენ ხელმძღვანელობთ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმის გამოძიებას. საპასუხისმგებლოს ორი თვალსაზრისით. პირველი — „მხედრიონი“ თავის დროზე ყველას შიშის ზარს სცემდა და ამ მხრივ პიროვნულად დიახაც გაბედულება სჭირდება მათი საქმეების გამოძიებას, გამომძიებლებისა და ჩადენილ ქმედებათა სათანადო კვალიფიკაციის. მით უმეტეს, რომ თქვენც იხეთივე დაუცველი ბრძანდებით, როგორც ჩვენ, რიგითი მოქალაქენი.

— რა თქმა უნდა, ყველა საქმეზე უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობა. უდავოდ რიული და საშიში საქმეა. თუკი მე შემეშინდება, საჭესაც ობიექტურად ვერ გაუარკვევ. ალბათ, გახსოვთ, „მხედრიონის“ ხელმძღვანელობას პარლამენტის სხდომებზეც ეებრძოდი და შიშის გრძნობა არც მაშინ მქონია. დაზღვეული, რა თქმა უნდა, არავინ არის. არ მეშინია, ვინაიდან ვიცი, რომ მე უკანონობას არ დავუშვებ. ასეთი შემთხვევაში კაცი როგორ აღმართავს ხელს ჩემს წინააღმდეგ, როდესაც ეცოდინება, უსამართლობას, უსინდისობას არ ჩავიდენ და მართლად ვიმოქმედებ. თუკი შეამჩნევენ, ვიღაცის მიმართ ცუდად ვმოქმედებ, მაშინ ღირსიც ვიქნები, რომ სხვაც ასევე მიმექცეს. ამიტომ შიშის გრძნობა არა მაქვს. მართალია, არც მკლავი მაქვს ძლიერი და არც სიმაღლე. მაგრამ გული ძლიერი მაქვს. რაც მთავარია, არ მეშინია რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას სკამი დავკარგო. ამიტომაც თამამად, სწორად და კანონიერად ვმოქმედებ.

— დიდია თქვენი პასუხისმგებლობა იმ აზრითაც, რომ გარკვეული ეჭვებიც არსებობს, ნუთუ მართლა ჯაბა იოსელიანმა, ი.გიორგაძემ, გ. გელაშვილმა მოაწყვეს სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმა. ისინი ხომ თანამებრძოლები იყვნენ?

— ეს ეჭვი გამოძიების დამთავრებამდე არსებობდა, სანამდე ჩვენ უკანასკნელ ბრალდებას წარვუდგენდით. მას შემდეგ, რაც ჯ.იოსელიანსა და სხვებს ბრალდება წარვუდგინეთ და გამოტანილ იქნა დადგენილება მათი პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მე ამ ბრალდებათა წარდგენაში ეჭვი სრულიად არ მეპარება.

რაც შეეხება მათ თანამებრძოლობას. — მე პოლიტიკოსი კი არა, იურისტი ვარ, ჩემთვის არსებობს კოდექსი, კანონი და ცივად, მკაცრად ვმოქმედებ. რა თქმა უნდა, ისინი ერთად მუშაობდნენ, მაგრამ რამდენად გულით იყვნენ ერთმანეთისადმი. განწყობილნი, ეს არ ვიცი. თანამებრძოლი ჰქვია იმას, რომ ბოლომდე უნდა იყოს თანამებრძოლი. თუკი ბრძოლის გზაზე მიღალატებ, როცა სახელმწიფოსთვის და ხალხისთვის ვიბრძვი, მაშინ რაც უნდა დიდი „მეგობარი“ იყო, თანამებრძოლი უკვე აღარა ხარ.

ასეთი შემთხვევები ისტორიამ ბევრი იცის, როდესაც პიროვნებები იყვნენ თანამებრძოლებიც, მეგობრებიც. მაგრამ მერე ღალატს ჰქონია ადგილი, ვინაიდან ამის პირობა შექმნილა, ანდა მისი კურსი ან პოლიტიკა არ მოსწონს და სხვა გზას აირჩევს. ცხოვრებაში ასეც ხდება და არა აქვს მნიშვნელობა ვის ეხება ეს ჯ.იოსელიანს, ანდა სხვას. ხალხში ცნობილი იყო, რომ „მხედრიონი“ ბევრ უკანონობას ჩადიოდა, მაგრამ სანამდე აშკარად არ გამომჟღავნდა პირადად მისი ხელმძღვანელის ბორიტმოქმედება და სისხლის სამართლის დანაშაული, მათ მიმართ საქმის აღძვრის საფუძველი არ არსებობდა.

— მოგეხსენებათ, გამსახურდიას ხელისუფლებამ „მხედრიონი“ გააუქმა, ხოლო ხელმძღვანელები დააპატიმრა. მათ სათანადო ბრალდებებიც წარედგინათ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა და „მხედრიონი“ ეროვნულ ძალად გამოცხადდა. თქვენ, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილემ, რა ზომები მიიღეთ, როდესაც დამნაშავეები გაათავისუფლეს?

— 1991 წელს ჯაბა იოსელიანი და მრავალი მხედრიონელი ბანდიტიზმის ბრალდებით დააპატიმრეს. დეკემბერ-იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით, ალბათ გახსოვთ, რომ დაიწვა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო იზოლატორი და იმ პერიოდში პატიმრობიდან ჯ.იოსელიანი და სხვები გამოვიდნენ. 1992 წლის 27 იანვარს ჯ.იოსელიანი და თ.კიტოვანი გახდნენ სახხედრო საბჭოს ხელმძღვანელები. 27 თებერვალს კი მათ ამნისტია გამოუშვეს, რომელიც ეხებოდა ბანდიტობის მუხლით დაპატიმრებულ ყველა პირს და მათ მიმართ საქმეები შეწყდა. ფაქტიურად, ჯ.იოსელიანმა თავის რეაბილიტაციას მოაწერა ხელი.

თქვენ მეკითხებით, თუ რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ამნისტია გამოვიდა, რომელიც ჩვენთვის კანონი იყო. იგი არავის და არც ერთ პარლამენტსაც არ გაუუქმებია. ამიტომ ამნისტია ძალაში დარჩა და იგი ყველას შეეხო.

პირადად ჯ.იოსელიანს ეს ამნისტია არ შეხებია, ვინაიდან ის მასალები გადავამოწმე. მის მიმართ ბანდიტიზმში არსებული მტკიცებები საკმარისი არ აღმოჩნდა და ამიტომ საქმე შეწყვიტეთ.

სხვებმა განცხადებები შემოიტანეს და მოინანიეს — გთხოვთ ამნისტია შეგვიფარდოთო. ჩვენ ვალდებული ვიყავით და შეკუფარდეთ ამნისტია, რომლის გაუქმების უფლებაც ჩვენ არ გვქონდა.

— როდესაც ტელევიზიით „მხედრიონის“ შესახებ საზოგადოებრივი აზრის გაკეთილშობილება მიდიოდა, მაშინ პროკურატურამ რატომ არ გამოთქვა პროტესტი, ან თავისი აზრი?

— შეიძლება საზოგადოებრივი აზრი არსებობდეს, რომლის შესახებაც ილაპარაკეს პრესამ, ტელევიზიამ და პარლამენტმაც. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვმსჯელობთ კონკრეტული ფაქტების მიხედვით. ვის შესახებაც საკმარი მასალები გვქონდა, არც ერთის მიმართ უკან არ დაგვიხევია. ჩვენ მათ ვაპატიმრებდით, პასუხისგებაში ვაძლევდით და ვასამართლებდით.

— მათი გასამართლება იმავე პერიოდში ხდებოდა?

— რასაკვირველია. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას ვაწყდებოდით მხედრიონის, თვითონ ჯ.იოსელიანის, გ.გელაშვილისა და სხვათა მხრიდან. ისინი ამ ხალხს ცნობებს აძლევდნენ იარაღის ტარების უფლების შესახებ და ა.შ. ბევრ შემთხვევაში, სადაც მტკიცება გვქონდა, უკან არ დაგვიხევია.

საერთოდ, ყველა „მხედრიონელი“ რომ დამნაშავედ მივიჩნიოთ არ არის სწორი. პირველი პერიოდის ვაჟკაცი მხედრიონელები სამაჯალოსა და ავხაზეთში გულიანად იბრძოდნენ. შემდგომში, როდესაც ნაწილმა ძარცვაყაჩაღობა დაიწყო, ბევრი ასეთებს განუდგა.

— ამჟამად ჯ.იოსელიანს, ყოფილ „მხედრიონელებს“ და სხვებს, აგრეთვე, ბრალად ედებათ გია ჭანტურიას მკვლელობა. თავად ირინა სარიშვილ-ჭანტურიამ გამოჯანმრთელებისთანავე განაცხადა ამ მკვლელობაში ჯ.იოსელიანისა და ი.გიორგაძის მონაწილეობაზე. რა რეაგირება მოახდინეთ ამ განცხადებაზე?

— მახსოვს, ეს საკითხი ქალბატონმა ირინამ პარლამენტშიც დააყენა, მაგრამ საკითხის ასე დასმა არ შეიძლება. მე რა საფუძველი უნდა მქონდეს? ასეთი განცხადების რეალური საფუძველი, ან ინფორმაციის წყარო ხომ უნდა არსებობდეს? ასე ყოველ ადამიანზე შეიძლება რაღაცის თქმა — ეს კაცი ასეთია, მხოლოდ ამით ხომ არ შეიძლება დაპატიმრება? ასეთი ეჭვის გამოთქმისას მე არავითარი საფუძველი არ მქონდა, ვერც წარმოვიდგენდი და ვერც დავიჯერებდი, რომ ისინი ამ ტერაქტის ორგანიზატორები იყვნენ. თუკი საფუძველი მექნებოდა, რა თქმა უნდა, ვალდებული ვიქნებოდი, მეპუშაა და ფაქტები შემეგროვებინა. ჩვენ კი ოფიციალური მასალა არ მიგვიღია. შემდგომში პრესაშიც თქვა კიდეც — რატომ გაუშვეს გიორგაძეო. რა საფუძვლით უნდა დაგვეკავებინა? განა მაშინ ვიმსჯელეთ თუ რაიმე მტკიცება ქონდა? როცა გიორგაძე წავიდა, ხალხში მასზე ლაპარაკი თანდათანობით, მერე დაიწყო. ჩვენ რომ საქმეს ვიძიებთ, ჯერ მასალებს ვკრებთ, და მერე თანდათან მივდივართ დასკვნამდე. არის თუ არა საკმილი მასალები საკმარისი. უდანაშაულობის პრეზუმფაციის დაცვაც ხომ გვინდა? მხოლოდ ვიღაცის წამოძახილებით ამას ვერ ვიზამთ. თანაც როგორ ფაქტთან გვქონდა საქმე. იგი ხომ შემთხვევითი პიროვნება არ იყო. იგი უშიშროების სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამიტომ მტკიცებების შეკრებას დიდი ბრძოლა, ღამეების თენება უნდოდა.

— რატომ ადრევე არ დააკავეთ ეჭვმიტანილები?

— სისხლის სამართლის საქმე ამ ფაქტზე იმავე დღესვე აღიძრა და საკმაო მტკიცებებიც თანდაყოლილ გროვდებოდა. მაგრამ იმდენი მტკიცება არ გაგვაჩნდა, რომ ვინმეს დაპატიმრება თავიდანვე მომხდარიყო. შეცდომა რომ დაგვეშვა, მაშინ ხომ იტყოდნენ, რატომ აჩქარდა გამოძიებაო რატომ დააპატიმრეს ეს კაცი? მტკიცების გარეშე კი ასეთი საპასუხისგებლო ქმედებების განხორციელება არ შეიძლება.

— მოგეხსენებათ, გახმაურებული ტერაქტები თითქმის ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა, მაგრამ საქმეები არ იხსნებოდა. 29 აგვისტოს შემდეგ კი ყველაფერს უცებ მოეფინა ნათელი. რაში იყო საქმე — პროკურატურას ჰქონდა სათანადო მონაცემები და სიმართლის თქმას ვერ ბედავდა, თუ ამ პროცესს ზეწოლით აფერხებდნენ?

— არავითარი ზეწოლა არ ყოფილა და ვერც მოხდებოდა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ვინმემ ძალიანაც რომ მოინდომოს და მითხრას რაიმე შეცვალეო — ამას არ ვიზამ. გახსოვთ, ალბათ, ასეთი ზეწოლის პერიოდი იყო კიტოვანისა და სხვათა მხარდამჭერ პირთაგან, პარლამენტისგანაც იყო ზეწოლა, მაგრამ ამას არ აყოლიეარ. ბევრი ფიქრობს, სანამ შევარდნაძეზე არ მოხდა თავდასხმა, მანამდე რატომ არ გაიხსნა სხვა საქმეებიო. ამ თავდასხმამდე პარლამენტში რომ იარაღი იყო, ვიცოდით, ამიტომ ეჭვი გაგვიჩნდა, იქ ხომ არ არის ის კაცი, ვინც ტერაქტში მონაწილეობას ღებულობდა — პირდაპირ გეტყვით, ეჭვი გაგვიჩნდა მხედრიონელებზე და მათ შორის ჯაბა იოსელიანზეც. ამიტომ შევამოწმეთ პარლამენტის შენობა და ვნახეთ იარაღი, ჯაბას კაბინეტში კი ნარკოტიკები, რამაც განაპირობა ჯ.იოსელიანისა და მისი ხალხის მონაწილეობაზე ეჭვის გაღრმავება. რა თქმა უნდა, მარტო იარაღის და ნარკოტიკების აღმოჩენა ტერაქტში მონაწილეობის მიღებას არ ნიშნავდა. ეს თანდათანობით მოხდა. იარაღის აღმოჩენის შემდეგ ეჭვის მიხედვით მოხდა დაპატიმრებებიც. დაკითხვებზე არა მარტო ამ საქმეზე, არამედ სხვა საქმეებზეც მივიღეთ აღიარებები. ასე ხშირად ხდება, როდესაც ერთ საქმეზე დაპატიმრებული კაცის რამდენიმე ჩადენილი დანაშაული აშკარავდება. ამიტომ, ჩვენი საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ როდესაც ერთ საქმეზე მტკიცებები მივიღეთ, თურმე ისენი აღმოჩნდნენ დანარჩენ საქმეებში მონაწილენიც. რასაც მივაღწიეთ, მათთან მუშაობის, კამათის და მტკიცებების შეგროვებით და დაკითხვებით, შეს ოპერატიული სამსახურების აქტიური მუშაობით.

— თუ გახსოვთ, ჯაბა მაშინაც

გაგრძელება მე-8 გვ.

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავსაფრიანი დედაკაცი“, ეს ისედაც

მცირე მოცულობის ნოველა, რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება. ეს მონაკვეთები, ფაქტიურად, დამოუკიდებელი ლირიკული ჩანახატებია. თითოეულს თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი სათქმელი აქვს. მათი მთლიანობა კი ქმნის იმ გულისმომკვლელ სურათს, რომელზეც აღბეჭდილია ცალად დარჩენილი ადამიანის მძიმე და გაუხარელი ცხოვრება.

შვილია უსადურობისაგან გულმკვდარი დედის, ცისქვეშეთში უკვე ყველასათვის ზედეტადქცეული ადამიანის ტრაგედია.

უკვალოდ გადაგება სპეტაკი სულისა, რომელიც დავანებულია „უბრალო“ ადამიანში. ასეთებს არ გამოუჩნდებათ არათუ თავისი მარკოზი და იოანე, არამედ, მათი სულიერი რაობა შეუჩნეველი რჩება საკუთარი შვილებისთვისაც კი.

„დიდებული ადამიანები უმეგლოდ იკარგებიან“, — ეს აზრი ნიკო ლორთქიფანიძის არა მარტო ამ ნოველის, „თავსაფრიანი დედაკაცის“ განმსაზოგადებელი დასკვნაა, იგი მწერლის სხვა რამდენიმე ნოველასაც მიესადაგება.

მწერალი ყველასაგან მივიწყებული, შემოდგომის ფოთოლივით უხმაუროდ მოწყვეტილი და გამქრალი სიცოცხლის მოსარჩლედ გვევლინება და იგი თავად უდგამს ძეგლს თავსაფრიან დედაკაცებს, რომელნიც დღესაც უჩუმრად ცხოვრობენ ჩვენს გვერდით.

ნოველა, როგორც ვთქვი, რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება. თითოეული დამოუკიდებელი ჩანახატიცაა და იმავდროულად მთელი თხზულების ორგანული ნაწილიც. ვერცერთ მონაკვეთს ნოველიდან ვერ ამოაგდებთ ისე, რომ თხზულების ერთიანი ქსოვილი არ დაირღვევს, მაგრამ არის ერთი ძალზედ მცირე ნაწილი ნაწარმოებში, ავტორის წინასიტყვა, რომელიც თხზულების დედაარსს არ გამოხატავს და ამიტომ ვერც ეპიგრაფად მივიჩნევთ და არც სიუჟეტთანაა თითქოს აუცილებელ კავშირში. ერთი შეხედვით, ამ წინასიტყვის გარეშე სიუჟეტი არაფერს კარგავს. ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც იმპრესიონისტი მწერლის, ხელწერისთვის კი არათუ მთელი ქვეთავის, — ერთი ზედმეტი სიტყვის დაწერაც კი არ არის დამახასიათებელი. მაშ რას უნდა მივაწეროთ მწერლის მიერ „ზედმეტი“ პასაჟის აღწერა?

საქმე ის არის, რომ ავტორის წინასიტყვა და ნოველის ძირითადი ტექსტი მართლაც ორი დამოუკიდებელი თხზულებაა. პირველი მინიატურა, მეორე კი ნოველა. უფრო მეტიც, როგორც მინიატურა, ისე ნოველა ერთსა და იმავე ინფორმაციას გვაწვდის, ამდენად, ერთ-ერთი ამ შემთხვევაში, — ნოველის შესავალი ნაწილი, თითქოს ზედმეტად უნდა მიეჩნია ავტორს, მაგრამ იგი შესავალშივე სწორედაც შეგნებულად გვთავაზობს სიუჟეტის ძირითად სქემას და, აი, რატომ: ამ საკითხზე მსჯელობას ცოტა შორიდან დავიწყებ.

ნიკო ლორთქიფანიძის ვრცელ ნაწარმოებში „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“, არის ერთი ქვეთავი — „ცხრაას ხუთი უპათოსოდ“. აქ აღწერილია ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის მიერ ქალის წამებისა და გაუპატიურების ამბავი.

ამ ფაქტის გადმოსაცემად მწერალი მიმართავს ორიგინალურ ხერხს:

„გაზეთი წერდა“:

„შორეული მეზობლები ამბობდნენ:“

„ბელეტრისტს შეუძლია დაადასტუროს“,

— ამბობს ნ.ლორთქიფანიძე და ცალ-ცალკე აღწერს, თუ რას წერდა გაზეთი, რას ამბობდნენ შორეული მეზობლები და რა შეუძლია ბელეტრისტს, რომ დაადასტუროს. ამ ხერხით საცნაური ხდება ერთი რამ. გაზეთი წერდა იმას და წერდა ისე, რაც შეიძლებოდა დაეწერა ნებისმიერი ადამიანის შესახებ, რომელიც იგივე დღეში აღმოჩნდებოდა. მაგალითად, გაზეთი მშრალად წერდა, რომ „რკინიგზის დარაჯის პარმენ... ძის ცოლი მართა გაუპატიურა და აწამა დამსჯელმა რაზმმა“.

შორეული მეზობლები კი ამბობდნენ: „რაც იქ ორომტრიალი იყო და ტყვიის ხუხული, ციებ-ცხელებიანი ქალი რავა გაუძლებდაო“...

ბანხილვა

ნიკო ლორთქიფანიძის «თავსაფრიანი დედაკაცი»

ნოდარ გრიგალაშვილი

გაზეთმა, იმისათვის რომ სხვა ადამიანზე თავსდამტყდარი იგივე-ნაირი უბედურება გვაცნოს, შეუძლია დაბეჭდოს იგივე ზემოთმოხმობილი მშრალი ინფორმაცია, მხოლოდ გამოცვლის სახელსა და გვარს. ბელეტრისტმა კი ყველაფერი უნდა აღწეროს თავიდან, რადგან ადამიანების ცხოვრება არ ჰგავს ერთმანეთს. ჰგავს მხოლოდ იმით, რაც ჩვენ თავს და ჩვენს ირგვლივ ხდება, მაგრამ არ ჰგავს იმ თვალსაზრისით, თუ როგორი შინაგანი განცდით ვხვდებით მოვლენებს.

პიროვნების ცხოვრების განმსაზღვრელი კი არის არა „რა“, არამედ „როგორ“. ამ აზრის დასადასტურებლად კიდევ ერთი სიუჟეტი მინდა გაეიხსენო.

ერთი უდიდესი ბიბლიოთეკის მფლობელმა მეფემ თავის მწიგნობარ-მუხუცესს სთხოვა, შეერჩია მისთვის წასაკითხად ის წიგნები, რომელნიც სიბრძნეს აზიარებდა. სწავლულმა შეურჩია, მაგრამ ამ თხზულებებმა უაზრავი თარო შეავსო. ზარმაც მეფეს ეშინოდა და სთხოვა, გაეანალიზებინა შერჩეული წიგნები და მხოლოდ წასაკითხად აუცილებელი ლიტერატურა დაეტოვებინა. ბიბლიოთეკა კვლავ განახევრდა, მაგრამ დარჩენილი წიგნების წაკითხვაც ათეულ წლებს ითხოვდა. ხელმწიფის თხოვნით კვლავ შეამცირა ბიბლიოთეკის ფონდი სწავლულმა და ეს პროცესი კითხვასთან მწყრალად მყოფმა განმცბელმა იმდენ ხანს გააგრძელებინა, სანამ თაროზე ერთადერთი წიგნი არ დარჩა, ეს იყო ბიბლია.

ამ დიდი მოცულობის წიგნის წაკითხვა კვლავ დაეზარა ქვეყნის მპყრობელს და მწიგნობარ-მუხუცესს სთხოვა: რაკი ამ წიგნში მთელი ქვეყნის სიბრძნეა გადმოცემული, ნუღარ გამწარებ, რაც აქ წერია, დაეჯდეთ და ყველაფერი თვითონ მიამბეთ.

„ხელმწიფევ, — მიუგო მეფის სიზარმაცით განაწყენებულმა სწავლულმა, — არამცთუ ამ წიგნში, არამედ მთელს შენს უზარმაზარ ბიბლიოთეკაში დაგროვილ ტომეულებში რაც კი წერია, ყველაფერ ამის თქმა სულ რამდენიმე სიტყვით შეიძლება“-ო — „ადამიანები იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, უყვარდათ, სძულდათ და იხოცებოდნენ“.

დიახ, ამ ნიშნით ადამიანების ცხოვრება მართლაც ერთმანეთის ალიკვალია. მაგრამ ცხოვრება იმით ხდება მრავალფეროვანი, საინტერესო და ტკბილ-მწარე, თუ როგორ უყვარდათ და უყვართ, თუ როგორ სძულდათ და სძულთ ადამიანებს ერთმანეთი. იმაზე, რაც ორი სიტყვით გამოითქმის — „უყვარდათ“, „სძულდათ“, უთვალავი ტომეულები სწორედ ამ „როგორ“-ის გამო შეიქმნა.

ახლა კვლავ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ. რა ფუნქცია აქვს თხზულების საერთო ქსოვილში „თავსაფრიანი დედაკაცის“ ავტორისეულ წინათქმას, ანუ იმ ამბის სქემატურ გადმოცემას, რაც ნოველის ძირითად ტექსტშია სიუჟეტურად ხორცშესხმული?

ნოველის შესავალში ვკითხულობთ:

„ეწერთ შემთხვევით შეხვედრილის ამბავს.

თუ ოდესმე დანჯღრეული ომნიბუსით გამოგზაურნიათ სამტრედიიდან მახლობელი სოფლებისაკენ, თქვენ, უეჭველია, დაინახავდით, მესრის იქით, ეზოში მოფუსფუსე, შავად ჩაცმულ ქალს, რომელსაც თან დასდევდა ჭადის ნატეხით ხელში პაწია ბავშვი.

ახლა იქ რომ ჩავიარე, დედაკაცის უნახაობა დამაკლდა.

გამოვიკითხე, და, აი, ძიებამ ძველ მოგონებებთან ერთად რა აღმოაჩინა.

ნუ დამიწუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულისშემხუთავ სურათებს. შემდეგ ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე.

მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე“.

ეს წინათქმა ნიკო ლორთქიფანიძის ხელწერისათვის დამახასიათებელ მცირე ზომის ჩანახატს წარმოადგენს, რომლის ლოგიკური წერტილი დასმულია წინადადების შემდეგ. „ეხლა იქ რომ ჩავიარე, დედაკაცის უნახაობა დამაკლდა“.

მაშასადამე, წინათქმით თქმულია ის, თუ რა მოხდა.

მკითხველის თვალწინ კადრივით გაიელვებს ორი სურათი. ოჯახი. ეზოში მოფუსფუსე შაოსანი ქალი, რომელსაც თან დასდევს ჭადის ნატეხით ხელში პატარა ბავშვი. მეორე სურათის ნეგატივზე კი შაოსანი ქალი აღარ ჩანს. ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა დემართა შაოსან მანდილოსანს. ფიქრით ბევრი რამ შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ ფაქტად რჩება ერთი რამ, მესერს იქით, ერთ ოჯახში რაღაც შეიცვალა, რაღაც მოხდა. დედაკაცი იქ აღარ დაფუსფუსებს. რაც უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ შაოსანი აღარ უნდა იყოს ცოცხალი. მერედა, განა ღირს ეს ყურადღების ღირსად? რამდენი რამ იცვლება ამ ქვეყანაზე, რამდენი ვინმე აკლდება ადამიანის თვალს! როდესაც ამას მთხრობელი გადმოგვცემს, სწორედაც არ ღირს ყურადღების ღირსად. ვიღებთ ინფორმაციას, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ აღარასოდეს გაგვახსენდება. ამას შეგნებულად აკეთებს მწერალიც. ნოველის წინათქმაში იგი უბრალოდ ამბავს გვიყვება, არაფრის მოქმელს იმით, რომ ასეთი ამბავი ყოველდღიურად ხდება და ღირსი არ არის ყურადღებისა, მაგრამ ჩავიკითხავთ ნოველას, ხელმეორედ მივიღებთ იგივე ინფორმაციას, ვნახავთ, რომ მესერს იქით მოფუსფუსე ქალი მართლაც უბედურად აღესრულება და საშინელი სეკვა გვიპყრობს.

ხოლო, როცა ნოველის ძირითადი ტექსტით უკვე დაწერილებით ვგებულობთ რაც მოხდა, სიმშვიდე გვერღვევა და თანაგანცდის გრძნობა გვიპყრობს გმირისადმი, რატომ?

იმის გამო, რომ პირველ შემთხვევაში ავტორი მხოლოდ მთხრობელის, ინფორმატორის როლით კმაყოფილდება, შემდეგ კი ბელეტრისტის კალმით აღწერს იმას, — რა როგორ მოხდა, ერთ ნოველაში ორი ტექსტის გვერდიგვერდ არსებობა, მთხრობელისა და ბელეტრისტისა, მწერლის მხატვრული ამოცანის ხორცშესხმას ემსახურება.

ეს ამოცანა კი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ.

ადამიანი ახალი ქალაქების, ახალი ქვეყნების, ახალი ვარსკვლავების მაძიებელი თუ ჭორგიტით ცისკენ მზირალი, ვერ ხედავს მის გვერდით მცხოვრებ თუნდაც უახლოეს ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ, ყველასგან განსხვავებულ სამყაროს. მის შესახებ მოგიყვებათ და მოგითხრობთ უფრო გულგრილად, ვიდრე ნაბუქოდონოსორის თაეგადასავალზე ისაუბრებდა.

ადამიანმა შეიძლება ისე იცხოვროს მთელი სიცოცხლე, რომ მისი სული გადაუფურცლავი ძვირფასი წიგნივით ვერავინ წაიკითხოს. ამიტომ, დიდებული ადამიანები ხშირად უმეგლოდ იკარგებიან არა მხოლოდ იმის გამო, რომ, ვთქვათ, სოციალურად უბრალო, რიგით, გამოუჩინებელ ადამიანებს წარმოადგენენ, არამედ, იმიტომაც, რომ მეორე ადამიანის შეცნობა არავის სურს, მისთვის არავის სცალია. აქედან მოდის სრული გულგრილობა და ინდივიდუალიზმი სხვისი ბედისადმი.

გულგრილობა კი ადამიანთა შორის პრაგმატიზმზე, გამოყენებით დამოკიდებულებებზე აგებულ ურთიერთობას შობს.

როცა შვილისათვის მშობელი მხოლოდ მარჩენლად არის აღქმული, მშობლის დაუძლურებისას შვილი მასთან ურთიერთობას წყვეტს, რადგან ამ ურთიერთობის საფუძველი პრაგმატისტული იყო. „თავსაფრიან დედაკაცში“ აღწერილი ამბავი გამონაკლისი არ არის. თუკი შვილს პრაგმატისტული დამოკიდებულება აქვს მშობელთან, როგორიღა იქნება ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებისა?

ყოველივე აქედან გამომდინარე თანამედროვულად, ერთმანეთის მიყოლებით, ადამიანები მოხუცებულობასა და დაუძლურებასთან ერთად, როცა იძულებით წყდება გამოყენებითი ურთიერთობის ჯაჭვი, რითაც ისინი ოჯახსა თუ საზოგადოებას უკავშირდებოდნენ, ზედმეტ ადამიანებად იქცევიან...

თუ გაუჩინარდებიან, მათი არარსებობა თვალი აღარავის აკლდება...

ხოლო არსებობით ყველას თვალში ეჩხირებიან...

ნოველის წინათქმაში, როდესაც მწერალი ამბობს, — „დედაკაცის უნახაობა დამაკლდა“-ო, ამ ინფორმაციას მკითხველი გულგრილად ხვდება.

ნოველის ძირითადი ტექსტის წაკითხვის შემდეგ კი მკითხველი სულშეძრული რჩება იმით, რომ თავსაფრიანი დედაკაცის, ამ დიდებული ადამიანის ოჯახიდან წასვლა, მისი უნახაობა, მის მცნობთაგან თვალთ არავის დაკლებია.

ეს კი მონანიე მკითხველის პოზიციაც არის.

ნოველის ფინალის შემდეგ თითქოსდა შეცბუნებულნი ვართ იმის გამო, რომ წინათქმით მოწვდილი ინფორმაცია გულგრილად მივიღეთ. ამ შეცბუნებით იწყება თვითგანწმენდა, კათარზისი და ფიქრი იმაზე, თუ რამდენი ადამიანის უნახაობა არ დაგვკლებია თვალს...

რამდენი ადამიანი ცხოვრობს ჩვენს გვერდით თავსაფრიანი დედაკაცივით დიდებული და მოუსაფარი...

ერთი სიტყვით, ნ.ლორთქიფანიძე წინათქმით გვამცნობს, რაც მოხდა — ერთი ადამიანი მოაკლდა თვალსაწიერს. ეს თითქოს ბუნებრივიც კია. წუთისოფელში ცას ვერავინ გამოეკერება, მაგრამ ვინ როგორ იცხოვრა და როგორ წავიდა ამ ქვეყნიდან, აი, ეს არის ღირსი ყურადღებისა. „როგორ“. ამის ანალიზის შემდეგ სხვაგვარი მოულოდნელობით ნათდება მანამდე გულგრილად მისაღები და აღსაქმელი ფაქტი.

გაგრძელება იქნება

ჯაბა ამბობს ცოფის წამალიაო, როდესაც ძლიერი ნარკოტიკული საშუალებაა...

მეხუთე გვერდიდან

ამბობდა პრესკონფერენციებსა თუ პარლამენტის სხდომებზე, რომ სარდაფში ნაპოვნი იარაღი ჩამოწერილი ჯართი და საბრძოლველად უვარგისი იყო, ხოლო ნარკოტიკების შენახვას მაშველთა კორპუსის ჰოსპიტლის აფთიაქის კუთვნილებით ხსნიდა.

— ჯაბა ყველა იარაღზე მაგას არ ამბობდა. ეს გარკვეულ ნაწილზე თქვა, რომლებსაც ნემსი ამოაცალეს და ცალკე ჰქონდათ შენახული. იქ ხომ უამრავი იარაღი აღმოჩნდა. რაც შეეხება ნარკოტიკებს, პირველად ჯაბამ თქვა, რომ აფთიაქმა მომაბარაო. როცა დავადგინეთ, აფთიაქის თანამშრომლებმა თქვეს, ჩვენ რა შუაში ვართ, ეს ნარკოტიკები შემოტანილიც არ გვქონიაო.

შემდგომში განაცხადა, რომ როდესაც ჰოსპიტალში აწ გარდაცვლილმა ზ.ვეფხვაძემ და გ.სვანიძემ ნარკოტიკული საშუალებები ჰუმანტარული დახმარების სახით მიიტანეს, და მაშინ უსაფრთხოების მიზნით მეც მოვიტანეს შესანახად. ჰოსპიტლის სიისა და ჯ.იოსელიანის კაბინეტში ნანახი სიის შედარებისას დამთხვევა არ ხდება. კერძოდ, ლაპარაკია 200 ამპულა ნორფინზე, რომელიც ჰოსპიტალში არ შესულა. ნორფინი კი საერთოდ არ იხმარება ფარმაკოპეაში. ამოღებულ იქნა ასევე ტრიმეთილფენტანილი, რაც კუსტარული წესითაა დამზადებული. ჯაბა ამბობს - ცოფის წამალიაო, მაშინ როდესაც ძლიერი ნარკ. საშუალებაა.

1993 წლის 1 ოქტომბრის აქტის მიხედვით განსვენებულმა ზ.ვეფხვაძემ და გ.სვანაძემ ჰოსპიტალში მიიტანეს პრომიდოლის ხსნარი 2%-იანი 1მლ. 675 ამპულა. აქედან 39 ამპულა გატაცებული აღმოჩნდა. რესპუბლიკის პროკურატურის წერილის პასუხად, 1995 წ. 7 სექტემბერს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო დაწესებულებების მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, გვიპასუხა, რომ მაშველთა კორპუსზე არასდროს გადაცემულა ნარკოტიკული ნივთიერებები.

საიდანაც არ უნდა ყოფილიყო ეს ნარკოტიკები მოღებული, მათი შეძენა, შენახვა კანონით ისჯება. ამიტომაც ამ ნაწილში ჯ.იოსელიანს ბრალდება სწორად წარედგინა.

— მაგრამ ჯაბა ხომ ამბობდა, ნარკოტიკები მაშველთა კორპუსს ოფიციალურად ეკუთვნოდა, სამაშველო ოპერაციების დროს მიღებული ტრავმის გამო შოკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ხოლო ვინახავდი სეიფში იმიტომ, რომ ჰოსპიტალში არადანიშნულებისამებრ არ გამოიყენებულიყოო. თქვენ ეს გარემოება არ გაითვალისწინეთ?

— ტყუილია ეს. თუ გახსოვთ პარლამენტის სხდომაზე ჩვენი კამათი, აბა რა იყო მეთქი, — რომ ვკითხე. არაფერი არ იყოო. აბა თაფლი იყო მეთქი? ჯ.იოსელიანის მიერ დასახელებული მიზეზიცა და მოტივიც კანონსაწინააღმდეგია.

— როგორ უჭირავს თავი პატიმრობაში სახელმწიფოს ყოფილ მეორე პირს ჯ.იოსელიანს. როგორ კამერაშია იგი მოთავსებული, მარტოა, თუ სხვებთან ერთად. აქვთ თუ არა ოჯახის წევრებს მასთან კონტაქტის უფლება. აქვს თუ არა მასზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტებს ადგილი. პირადად მან სცნო თუ არა თავი დამნაშავედ?

— ჯაბა არის ჩვეულებრივ პირობებში, როგორც პატიმარს ეკუთვნის. მარტო არ გახლავთ. ის ხან ორ, ხან სამ კაცთან ერთადაა. მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია და ვერც ექნება, ამას არც პირადად მე და არც პროკურორი არ დაუშვებთ. ვინაიდან მასზე გარკვეული პასუხისმგებლობა გვეკისრება. ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებული პირები არაერთხელ ინახულა როგორც ს.კავსაძემ, დ.ფინმა, ასევე უცხოელმა ჟურნალისტებმაც. მაგრამ არც ერთ მათგანს პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამის შესახებ პრესაშიც არა ერთხელ დაწერა. საერთოდ, პატიმრების ნახვა შეზღუდულია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ნახვის ნებას ვაძლევთ. ჯაბა იოსელიანს თავი ჩვეულებრივად უჭირავს. იგი ტაქტიანად იქცევა და მისი მხრიდან რაიმე ზედმეტობას ადგილი არ ჰქონია. იგი თავს დამნაშავედ არ სცნობს.

— და არც ჩვენება მიუცია?

— ჩვენება მისცა გამოძიებას სხვადასხვა ეპიზოდებში. მას დანაშაულის ეპიზოდები აქვს ზუგდიდში და მის რაიონებში, სახლების დაწვა, გაძარცვა და სხვა. საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ თქვენ ამ მასალებს გაგაცნობთ და შემდგომ კიდევ ვისაუბროთ, ვინაიდან,

გაგრძელება მე-8 გვ.

ელცინის მეუღლე აღშფოთებას ვერ მალავდა...

რა მოხდება ნეტავ, ასეთი რამ რომ განმეორდეს საქართველოში

მოსკოვის საერთაშორისო აეროპორტ შერემეტიევოში გნიასი და აურზაურია. ვიღაც ჩამოვიდა, ვიღაც მიემგზავრება. პარიზიდან მომავალი თვითმფრინავი ეს-ეს არის დაეშვა და მგზავრები საბაჟოსკენ მიიჩქარიან. ვასილ გრიგორიევი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ითვლის ჩემოდნებს, ფუთებსა და მუყაოს ყუთებს. ამ მაღალი ტანის გამხდარ, შავებში ჩაცმულ ახალგაზრდა კაცს, ესტრადის ვარსკლავს რომ უგავს მიხვრა-მოხვრა, მოსკოვში გაფაციცებით ელიან და მასაც ერთი სული აქვს, სანამ ქალაქში ამოყოფს თავს. „აბა, ერთი ეს გახსენით!“ — ამბობს მებაჟე და ნიკაპით ყუთს მიანიშნებს. გრიგორიევი თოკს შეხსნის და ყუთს თავს ახდის... ყუთი ხელებითაა სავსე, უზარმაზარი, დაძარღვული, ფრჩხილებდამტვრეული ხელებით. ლატექსისგან დამზადებული ხელები ვეებერთელა ხელთათმანებივითაა დახორავებული.

საბაჟოს მოხელეს თმები ყალყზე უდგება. „თეატრისთვის გვჭირდება“ — უხსნის გრიგორიევი. შენც არ მომიკედე! ჯარისკაცები ვასილიევის ბარგს შეესიენ და ყუთებს სახურავებს აგლეჯენ. ცოტაც და ფორმიან მოხელეებს წნევა თავში აუვარდებათ: ყუთებიდან ერთმანეთის მიყოლებით ამოაქვთ კრემლისა და დუმას მესვეურთა თავები. რა თქმა უნდა, ისინიც ლატექსისგან დამზადებული... დანაოჭებული, შეშუპებული სახეები, თმები, წარბები... და ყოველივე ეს ბუნებრივზე უფრო ნამდვილი. გრიგორიევი გრძნობს, რომ საქმე ცუდადაა და დაძაბულობის შესანელებლად ერთ ნიღაბში შეაძვრენს ხელს. სახე ცოცხლდება, წარბებს ჭაჩავს, თვალებს ახელს და... იღიმის. ჯერ ერთი მებაჟე ახარხარდა, მას სხვებიც აყვნენ. წამიც და... ახლა უკვე მთელი დარბაზი ხორხოცებს. ეს თოჯინების პირველი წარმატებაა რუსეთის მიწაზე.

„კუკლების“ შაბათობით, საღამოს 10 საათზე უშვებენ ეკრანზე. 12 წუთი ეთმობოდა ჭეშმარიტ თეატრალურ სანახაობას: ერთმანეთს ენაცვლებოდა ეპოქები, კოსტუმები და დეკორაციები... მაგრამ უცვლელი რჩებოდნენ მთავარი გმირები: „კრემლის ბანდა“, ანუ უფრო ზუსტად მარიონეტები, რომლებიც წარმოუდგენდნენ მაყურებელს ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ ლიდერებს.

კვიმატმა გადაცემებმა გააოგნა მაყურებელი. მსგავსი რამ მას აროდეს უნახავს! გრიგორიევს ჩამოართვეს სახელმწიფო აგარაკი. „დაცინვა კრიტიკაზე უარესია, — ამბობს ანდრეი გრაჩოვი, პრეზიდენტ გარბაჩოვის პრეს-მდივანი, — „მეფე შიშველია“ გაიძახოდნენ „კუკლები“ და ამ ჭეშმარიტებას პირში მიახლიდნენ თვით მეფეს. „კუკლები“ უბრალო გასართობიდან სიმბოლოს დონემდე ამაღლდნენ. ეს კი უკვე სახიფათო იყო.

„მიკერძოებას ვერავინ დაგვწამებს. ყველა ჩვენი პერსონაჟი ერთნაირად გროტესკული იყო, ამასთან ერთად კაციჭამიაც“— გვიხსნის რეჟისორი. მაგალითად ელცინი, ძალაუფლებას მოწყურებული ციხიკი გოლიათი, რომელსაც საკუთარ ნებაზე ათამაშებს მისი უახლოესი გარემოცვა, განსაკუთრებით ოდიოზური გენერალი კორჟაკოვი, პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი. ან, თუ გნებავთ, იავლინსკი, მეტისმეტად ამბიციური და ამასთან — გულუბრყვილო უმწიფარა, რომელსაც არც გამოცდილება აქვს, არც ლიდერის თვისებები. კარიკატურული გენერალი ლებედი, რომელიც „სალდაფონურად შაყირობს“; წითელი ზიუგანოვი, სსრკ-ის ნოსტალგიით შეპყრობილი კომუნისტური ლიდერი, რომელიც ვადაგასულ ბოლშევიკურ მეთოდებზე ოცნებობს. არც მოფაშისტო ჟირინოვსკია დავიწყებული, ეულგარული და ისტერიული პიროვნება, მასხარა და ღლაბუცა... ოცამდე თოჯინა-პოლიტიკური მოღვაწე ენაცვლება ერთმანეთს გადაცემის განმავლობაში. გადაცემის ავტორები ნამდვილ სასამართლო პროცესს უწყობენ პოლიტიკურ ლიდერებს. მერე რა, რომ კრემლი ცოფავს ყრის!

კრემლის პასუხმაც არ დაახანა. ელცინი ამტკიცებდა, რომ აინუნშიც არ აგდებს გადაცემებს და არც ერთი არ უნახია, თუმცა მთელი მოსკოვი ჭორაობს, რომ ერთგული ფინია კორჟაკოვი პრივატულ ჩვენებებს აწყობს შეფისთვის. ელცინის მეუღლე აღშფოთებას ვერ მალავდა, მეუღლის ასეთ გაბაიბურებას რომ ხედავდა. რაც შეეხება ჩერნომირდინს, რომელიც ძალდატანებული ღიმილით აცხადებდა, რომ „მისი მარიონეტი“ ორიგინალისაგან განსხვავებით, „ცოტაოდენ სქელია“, სწორედ მან მისცა პირველი ბიძგი შეტევას: პრემიერ-მინისტრმა ოფიციალურად დასდო ბრალი გადაცემის ავტორებს, რომ ისინი „ხელყოფენ პიროვნების პატივსა და ღირსებას“. რუსეთის პროკურორის ბრძანებით დაიწყო გამოძიება „საზოგადოებრივი ცხოვრების ექსტრემიზმისგან დაცვის“ მიზნით.

განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია გადაცემამ, რომელიც გორკის პიესის „ფსკერზე“ პაროდიას ეფუძნებოდა. მთავარი გმირები გამათხოვრებული ელცინი და ჩერნომირდინი იყვნენ, რომელთაც სახელმწიფოსგან ბოძებული 52000 მანეთით უხდებათ თავის გატანა.

მთელი პრესა აღსდგა „კუკლების“ დასაცავად. საბრალო პროკურორი სასწრაფოდ დაითხოვეს სამსახურიდან. მაგრამ პირველ გამოძიებას მეორე მოჰყვა. „ნომენკლატურას სურს გათელოს პრესა!“ — აცხადებს ნ.ტ.ვ-ს პრეზიდენტი. გრიგორიევს ურჩიეს გარიდებოდა რუსეთს — მოსკოვში უამრავი უბედური შემთხვევა ხდება... გრიგორიევი შენტეროვიჩმა შეცვალა. და ისევ ყოველკვირეულად ელცინი, ჩერნომირდინი და ჟირინოვსკი თავისი ჯამბაზობით ართობენ მაყურებელს. კორუფცია, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მომხვეჭელობა, ძალადობა, რასიზმი — აი, გადაცემების თემები.

ყველაზე პოპულარული — თოჯინა ჟირინოვსკია, მუდამ აღტყინებული მოლაყბე, მაგრამ სიმართლის პირში მთქმელი. „რა უნდა გვექნა? ჟირინოვსკი არსებობს და ამას გვერდს ვერ ავუვლიდით“ — აცხადებს შენტეროვიჩი. გინდა თუ არა, თოჯინები რეკლამას უწევდნენ საკუთარ ორიგინალებს, განსაკუთრებით ჟირინოვსკის. ბევრმა პოლიტიკურმა მოღვაწემ 60000 დოლარი შეაძლია რეჟისორს „საკუთარი თოჯინების“ შესაძენად. სხვებმა მორიდებულად სთხოვეს, ცოტა უფრო ჰკვიანურად გვალაპარაკე ეკრანზეო.

ერთ-ერთი უკანასკნელი გადაცემა 1999 წლის ამბავს გვიყვება: რუსეთში ზიუგანოვი მეფობს, ყოველდღე იმართება პომპეზური სამხედრო პარადები, მაღაზიის დახლები ცარიელია, დისიდენტი ელცინი კი, პატარა ოთახში გამოკეტილი, „ამერიკის ხმის“ გადაცემას უსმენს. „პოლიტიკური მოღვაწე რომ გახდე და პოპულარობა მოიხვეჭო, ორი გზიდან ერთი უნდა აირჩიოს: ან შენი საკუთარი პარტია უნდა დააარსო, ან „კუკლების“ დასში უნდა დაიმკვიდრო ადგილი“ — გვარწმუნებს ერთი რუსი პოლიტოლოგი. მეორე გზა პირველზე გაცილებით რთულია.

ანიკ კოჟანი

(„მონდი“, 11 მარტი, 1996)

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

მორიგი ლაშქრობა გაზეთების გამყიდველთა წინააღმდეგ

არ ვიცი რამ შეაძულა მთაწმინდის რაიონის გამგეობას და მისი წაბაძვით სხვა რაიონების გამგეობებსაც ასე ძალიან გაზეთი და ბეჭდვითი სიტყვა.

თითქოს ქვეყანას მეტი სატკივარი არ ჰქონდეს, დროგამოშვებით თითო წარმომადგენელს რამდენიმე პოლიციელის თანხლებით მიუსვენ ხოლმე ქუჩაში გაზეთის გამყიდველ მანდილოსნებს ყვირილით — აიღეთ ახლავე ეს გაზეთები და მოუსვით აქედან, თორემ გადაგიყარეთ ახლავეო.

ამათ ეტყობა ნიკოლიზ მეორის ნაფარები ჰგონიათ თავი და რაც უნდათ, იმას გააკეთებენ...

წესი, კანონი, კონსტიტუცია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლად გავრცელების უფლებას იძლევა, ვიღაც ჩინოვნიკი კი აიჩემებს, კი ბატონო გაავრცელე, მაგრამ მაინცადამაინც ისეთი ყუთი იყიდე, ვიღაცამ რომ ოხრად შემოიტანა და ვაჭრობას პეწიც მიეცემაო.

ჯერ ერთი, პატივცემულო მთაწმინდის რაიონის გამგეებელნო, მიჩვენეთ ერთი, რომელ კანონში გიწერიაო, გაზეთი იმ „ყუთიდან რომ უნდა გაიყიდოს მაინცდამაინც.

მეორეც, ამ გაჭირვებულ ადამიანებს იმ „ყუთისთვის“ 100 და 150 ლარი რომ ემეტებოდეთ, ანუ ჰქონდეთ, სიცხესა თუ წვიმაში უთენიდან დაღამებამდე ქუჩაში იდგებოდნენ?

მესამე, ამდენი უმუშევარი რომ არის დასაქმებული გაზეთების გაყიდვით, განა ეს თქვენთვის, ხახელმწიფოს წარმომადგენლებისთვის, ხალხზე რომ უნდა ზრუნავდეთ, ცოტას ნიშნავს?

მეოთხე, გაზეთების გადაყრით რომ ეშურებით, ის გაზეთები ფული ღირს, ხოლო ეს ფული რედაქციების საკუთრებაა, ისედაც ძლივს ვსულდგმულობთ და კიდევ თქვენი ექსპროპრიაცია გვინდა?

მეხუთე, რომელ სამოქალაქო საზოგადოებაში ჩვენ ვცხოვრობთ, რომ მყიდველს გაზეთი გაშლილი არ ვაჩვენოთ, ამდენ გაზეთში იქვე რომ ჩახედოს და არჩევანის საშუალება მიეცეს თუ რომელი იყიდოს, განა რა არის ამაში ცუდი? ან რა დიდ სიმახინჯედ აღიქვამთ დახლებზე გაშლილ გაზეთებს, გზაზე რომ კაცი მიდის შუა ქალაქში და უცებ, შეიძლება პირდაპირ უძირო ორმოში ამოყოს თავი, ამას ვერ ხედავთ? თუ ასეთი გზები ქალაქს ამშვენებს, ხოლო ლტოლვილი რომ გაზეთის გაყიდვით ორ კაპიკს შეიძენს, ესაა თბილისის უბედურება?

დაბოლოს, მთაწმინდის რაიონისა და სხვა რაიონის გამგეობებო, პრესასთან აგდებულ დამოკიდებულებას გირნეკდით, თავი დაგენებებინათ და მიგეხედათ მექრთამეებისათვის, რომელნიც თქვენს ყოველ ბრძანებულობას გაჭირვებული ხალხისაგან ფულის დასაცინცლად იყენებენ.

თქვენს თავში დაბადებული აზრების ქაღალდზე გადატანამდე და სამოქალაქო ბრძანებად ქცევამდე, იმ აზრებისა, რომელნიც ჩვენ, რედაქციებს გვეხება, ჩვენთვისაც დაგეძახათ და ერთობლივად გვემსჯელა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე ამას, ზემოდან ყურებისა და პრესის არაფრად ჩაგდების სუნი უდის. კი ბატონო, თუ ასე გსურთ, იყოს ასე, ოღონდ ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენსა და ჩვენს შორის, ანუ მეორე და მეოთხე ხელისუფლებას შორის როცა სინდისი არი იმოციქულებს, არსებობს მესამე, სასამართლო ხელისუფლება, რომლის წინაშე გასვლა თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მოგიხდებათ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე მინდა გაზეთ „საქართველოს“ მკითხველებს ვაცნობო. მოქალაქენო, დიდი კაცისაგან პატარა კაცის ჩაგვრის ტრადიციას ვერც ერთი კაცი და ვერც ერთი გუნდი ვერ მოუღებს ბოლოს, თუ თვით საზოგადოება არ დაირაზმა იმ საშინელი ხენის წინააღმდეგ, რასაც მექრთამეობა, ანუ ხახელმწიფოს სახელით ჩვენივე მოქალაქეების ძარცვა ჰქვია. ჩვენი რუბრიკისათვის — „გამგებელი და მისი საგანმგებლო“ გთხოვთ გვაცნობოთ და მოგვიტანოთ კონკრეტული ფაქტებიც ვთქვათ ასეთი — რა ღირს თბილისში მანქანის სადგომის აშენებისათვის ნებართვის აღება ოფიციალურად და არაოფიციალურად.

რას იხდიან ჯიხურები ოფიციალურად და არაოფიციალურად და ა.შ. და ა.შ.

ვფიქრობ, ეს რუბრიკა ჩვენს გამგებლებს დაეხმარებათ უფრო სერიოზულ პრობლემებზე იფიქრონ, ვიდრე გაზეთების გამყიდველი მოხუცი ქალების დევნა და მათზე კურსკის ბრძოლის მაგვარი იერშების მიტანა წარმოადგენს...

ნოდარ გრიგალაშვილი
გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი

ᲬᲣᲗᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ - ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲜᲘᲐᲖᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მოამზადა
ლელა კოდალაშვილმა

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

ᲜᲘᲐᲖᲘ უნივერსიტეტთან იდგა.

— გამარჯობათ, ბატონო — შეაჩერა უცნობი. კაცმა ვერ იცნო, მაგრამ ხელი მაინც ჩამოართვა.

— გამარჯობა, — ეხლა სხვას ჩამოართვა ხელი. შემდეგ კი ორივე უცნობი ერთმანეთს გააცნო. — მე მალე დავბრუნდები, — მიმართა ორთავეს და გაშორდა.

ლექციის ბოლოს, უნივერსიტეტიდან გამოსული ხედავს, რომ ის ორი უცნობი ისევ იქ იდგა და რაღაცაზე საუბრობდნენ, როგორც ძველი ნაცნობები.

* * *

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ნიაზი მამამისმა სულეიმანმა აბაზანაში ჩაკეტა იმ იმედით, რომ ვეღარ დალევსო. ნიაზს აბაზანის პატარა სარკმლიდან თოკი ჩაუშვია, მეეზოვეს მასზე არყით სავსე ბოთლი გამოუბამს. საღამოს სულეიმანს აბაზანის კარი გაუღია და ხედავს, ნიაზი მთვრალია, გაგიჟებულ სულეიმანს ონკანი მოუშვია, არაყი ხომ არ მოდის წყლის მაგივრადო.

* * *

— **ᲢᲐᲥᲡᲘ**, ტაქსი, — დაუქნია ხელი ნიაზმა მიმავალ მანქანას. მძღოლმა ავტომობილი გააჩერა.

— თავისუფალი ხარ? — ჰკითხა ნიაზიმ.

— თავისუფალი ვარ! — უპასუხა მძღოლმა.

— მაშ, გაუმარჯოს თავისუფლებას!

* * *

— თავისუფალი ხარ, გენაცვალე? — ჰკითხა ტაქსის მძღოლს ნიაზმა.

— კი, ნიაზ.

— არსად გეჩქარება?

— არა.

— მაშ გადმოაბრუნე მანქანა, ჭადრაკი ვითამაშოთ.

* * *

ᲔᲠᲗᲘ პერიოდი თბილისში მრავალვაგონიანი ტრამვაი მომრავლდა. ნიაზი ერთ ასეთ ტრამვაიში ავიდა. გაირა ერთი ვაგონი, მეორე, მესამე და კონდუქტორს მიადგა.

— უფროსო, — მიმართა.

— რა იყო, ჯიგარო!

— ვაგონ-რესტორანი კიდევ შორს არის?

* * *

ᲢᲠᲝᲚᲚᲔᲘᲑᲣᲡᲘ გაჩერდა. იდგა ხუთი წუთი. ხალხს აღელვება დაეტყო. — რა ამბავია, რატომ არ მიდის, კითხულობდნენ ყოველი მხრიდან. ნიაზი მშვიდად იჯდა, ბოლოს ადგა.

— დაწყნარდით, მეგობრებო, — მიმართა მგზავრებს. ხალხი მართლაც გაჩუმდა. — კიდევ ხუთი წუთი მოგვიხდება დგომა, — დააშშვიდა ისინი ნიაზმა.

— კი მაგრამ, რატომ ბატონო? — იკითხა ვიღაცამ.

— „ვსტრეჩნი“ ტროლეიბუსს ველოდებით.

* * *

— **ᲛᲝᲛᲘᲙᲘᲓᲔ**, თუ შეიძლება, — შეაჩერა ვიღაცამ ნიაზი ქუჩაში. ნიაზმა მოუკიდა და გზა განაგრძო.

— მომიკიდე, თუ ძმა ხარ, — კვლავ შეაჩერა ვიღაცამ. ნიაზმა მასაც მოუკიდა და გზა განაგრძო. ათიოდე მეტრი გაიარა და ისევ ნაცნობი სიტყვები შემოესმა.

— თუ კაცი ხარ, გამაგებინე, — მიმართა უცნობს ნიაზმა, — კაცი ვარ თუ „ზაუიგალკა“?

* * *

ᲜᲘᲐᲖᲘ ქუჩაში მიდიოდა, ეზოდან ძაღლი გამოვარდა და ფეხზე უკბინა. „ნიაზ, შენი ჭირიმე, — შემოეხვია გამვლელ-გამომვლელი, შრატი გაიკეთე, ცოფი არ შეგეყაროს“.

— ჩემი ნუ გეშინიათ, ძაღლს მიხედეთ, სმა არ დაიწყოს.

* * *

ᲓᲘᲚᲘᲗ, ქუჩაში, ნიაზი დ ქართლოსი შეხვდნენ ერთმანეთს.

— ნიაზ, ბიჭო, იცი, რა ძაღლი მყავს? — დაიწყო ქართლოსმა.

— მაინც რანაირი?

— რომ ვეტყვი, ბომიკ გაიქეცი პავლიკასთან-მეთქი, ეგრევე გარბის.

— ეგ რა არის, შე კაი კაცო, მე რომ ძაღლი მყავს, ყოველ დილით მაღვიძებს და მეუბნება: „ნიაზ, წავალ რა პავლიკასთან“.

— ჩემი ძაღლი, — განაგრძო ქართლოსმა — დილით ადგება, 2 მანეთს აიღებს, გარბის და მოაქვს ჟურნალ-გაზეთები, პური, ყველი... მაგრამ ვუანგარიშე და ყოველდღე 20 კაპიკს მაკლებს. რომ ვეტყვი, ბობიკ, არა გრცხვენია-მეთქი? თავს ჩაღუნავს ხოლმე.

— იცი რა, ქართლოს! ჩემიც იღებს, ოღონდ მანეთიანს, გარბის და მოაქვს ჟურნალ-გაზეთები, პური, ყველი, რძე, ლუდი. რომ ვკითხავ, კი მაგრამ, მანეთად ამდენი როგორ მოგდის-მეთქი, მოვა და ყურში მიჩურჩულებს — დანარჩენს ქართლოსის ძაღლს ვართმევო.

* * *

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ნიაზ. — მიესალმა ნაცნობი.

— გაგიმარჯოს, იცი რა? პურმარილი შენი, დივანი — ჩემი, — მიახალა უცებ.

— კი, შენი ჭირიმე — გაუხარდა

ნიაზთან მოსალოდნელი ქეიფი ნაცნობს.

— გამარჯობა ნიაზ. — მიესალმა კიდევ ერთი.

— გაგიმარჯოს. მოდი აქ.

მივიდა.

— იცი რა? ღვინო შენი, პურმარილი ჩემი, მოდის?

— უჰ, შენი ჭირიმე. — აღფრთოვანდა მეორეც.

— აბა, წავედით, ბიჭებო, — ნიაზმა ორივეს მოხვია ხელი.

* * *

ᲜᲘᲐᲖᲡ ამხანაგი შეხვდა. დაღმეჯილიყო.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ნიაზმა.

— სიბრძნის კბილი ამომდის.

— მაიცა, ამოგდის თუ ჩაგდის?

* * *

— **ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ**, ამ პალტოს საყელოს რა ვუყო, კვირაში ერთხელ „ჩისტკაში“ მიმაქვს და მაინც ჭუჭყიანდება. — შესჩივლა ვიღაც ქალმა ნიაზს.

— ერთი გადასარევი ხერხი ვიცი.

— მასწავლე, ეგებ მეშველოს...

— ყოველ დილით კისერი დაიბანეთ, ქალბატონო.

* * *

— **ᲜᲘᲐᲖ**, მარცხენა თვალი მითამაშებს, რას ნიშნავს? — ჰკითხა ვიღაცამ.

— ცუდი ნიშანია.

— მარჯვენა?

— კარგის.

— მარცხენა ხელისგული რომ მეფხანება?

— ფულს იშოვი.

— მარჯვენა?

— დაკარგავ.

— მარცხენა იდაყვის ქავილი რაღას ნიშნავს?

— იცი რას გეტყვი? — აბანოში წადი პირდაპირ.

* * *

ᲜᲘᲐᲖᲘ მილიციაში მოხვდა. მილიციელი, რომელმაც დააკავა, რიგითი იყო — ჩინი არ ჰქონდა, თანაც ასაკოვანი გახლდათ.

— რამდენი წლის ხარ? — შეეკითხა ნიაზი.

— სამოცის.

— რამდენი წელია, მილიციაში მუშაობ?

— ოცდაათი.

— შე კაი კაცო, კონიაკი ყოველწლიურად თითო ვარსკვლავს იმატებს, შენ რა მოგივიდა? ქართველი ხარ?

— კი, სომხიშვილი.

— ეგ რა ქართველობაა?

— როგორ ვერა ხედავ? დაბოლოება შვილზე მაქვს.

— ე.ი. მაიმუნი ვირიშვილიც ქართველი ყოფილა.

* * *

— **ᲜᲘᲐᲖ**, გუშინ ტოლსტოის მოთხრობა წავიკითხე — „ომი და მშვიდობა“.

— ეგ თუ მოთხრობაა, მაშინ ეგნატე ნინოშვილის „გოგია უიშვილი“ ელვადეპეშა ყოფილა. — უპასუხა ნიაზმა.

* * *

ᲜᲘᲐᲖᲘ მეგობარს ნარდს ეთამაშებოდა. გვიანი ღამე იყო. გაახსენდა ერთი ცნობილი მონარდე, კირილე პაჭორია და შუა თამაშის დროს დაურეკა.

— ბატონო კირილე, ნიაზი გაწუხებთ, მეგობარს ნარდს ვეთამაშები, მან არ იცის, რომ თქვენგან ვიღებ კონსულტაციას, სე იაქე მომივიდა, სეს კარი ცარიელი მაქვს, შაშიდან გავითამაშო თუ ბეშიდან? — გააცნო კომბინაცია ბატონ კირილეს.

კირილე პაჭორიამ თავის მხრივ ნარდი გაშალა, ნიაზის კომბინაცია დაალაგა და რჩევა მისცა: „რა თქმა უნდა, შაშიდან ჩემო ნიაზ“. ცოტა კი შეწუხდა, უდროო დროს რომ გააღვიძეს.

ერთი-ორი საათის მერე ისევ დაურეკა ნიაზმა: „ბატონო კირილე, მართალია, დილის სამი საათია, მაგრამ აბა, თქვენისთანას ვის ვნახავ, — პირველ გაგორებაზე დუ სეთი რომელი კარი ავიღო, როგორ ჯობიაო!

— შენი შაშის კარი აიღე, ნიაზ, შენი! — დაიყვირა მონარდემ და ყურმილი დაკიდა.

დილის ექვს საათზე ისევ გააღვიძეს ბატონი კირილე.

— გისმენთ.

— ალო, ბატონო კირილე. ისევ მე გაწუხებთ, დუშაში მომივიდა. ორი ქვა მაქვს იაქეს კარზე დარჩენილი, გამოვიდე?

— გამოდი, ან ნუ გამოხვალ, ან წადი, ან გააგდე, ან ნარდი დაამტვრიე, რაც გინდა ის ქენი, მე კი შემეშვი!!. — კოდა ტელეფონში ბატონი კირილე.

* * *

— **ᲠᲐᲓ ᲒᲘᲜᲓᲐ** ამოდენა ჰალსტუხი? — ჰკითხეს ნიაზს.

— დამტვერიანებულ ფეხსაცმელებს ვიწმენდ ხოლმე, — უპასუხა ნიაზმა.

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღე

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, როცა მერაბი და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები დააპატიმრეს, ქართველი ხალხი მათ განთავისუფლებას ითხოვდა. 1989 წლის 26 მაისამდე ყოველი მათგანის გათავისუფლება მოხერხდა, იმ პირობით, რომ ქალაქიდან მათ გასვლას მთავრობის ნებართვა სჭირდებოდა (რატომ ღმერთი არ გაიცინებს).

1989 წლის 26 მაისი უკანასკნელი იყო, როცა მერაბ კოსტავამ დამოუკიდებელი საქართველოს დაბადების დღე აღნიშნა.

ეს ლექსი მისი ტრაგიკულად დაღუპვიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაიწერა.

ნოდარ გრიგალაშვილი

საქართველო რომ გამოსთხოვო ბორკილახსნილი

მერამდენეა გლოვა ესე და შეჭირვება,
ეს მერამდენედ გულთა ფლეთვა, სულთა კირთება,
რამდენი ცრემლი უნდა ვღვაროთ, ღმერთო, ძლიერო,
არსთა გამრიგევ, ბედი კიდევ რა შხამს გვპირდება,
ბედი შავბედი, მტერთა ჩვენთა საბედნიეროდ...

ბევდება იმედი, კვდება რწმენა, ვიხსენებ ოდეს,
ორლესულებით გადაკეპილ ღამის
სარანგთა...
ტფილისი შენს ხმას გაიგონებს ვეღარასოდეს,
ტფილისი გოდებს
ავაი, გმირო, არ ეწერა სიზმარს ახდენა,
ვინძლო არ იქნა, არ შებრუნდა ეს დრო თახსირი,
არსთა გამრიგეს შენ ზვარაკად მიეახლები,
საქართველო რომ გამოსთხოვო ბორკილახსნილი...

ხუნდის დადებით
სკვითს მიგგვარეთ,
ო, მგონია იყო სიზმარი...
ვიტანჯვით ახლა სინანულით
ნაგვიანევით...
აწ არ გჭირდება ქალაქიდან გასვლის ფირმანი,
სახელით შენით განიხვნება სამოთხის კარი...

1989 წ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“

ჯაბა ამბობს ცოფის წამალიაო, როდესაც ძლიერი ნარკოტიკული საშუალებაა...

მეოთხე გვერდიდან

ბუნებრივია, შეკითხვები გაგიჩნდებათ.

მინდა ხმამაღლა ვთქვა — მიმაჩნია, რომ უდანაშაულო ხალხისთვის სახლების დანგრევა და დაწვა უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე რომელიმე საზოგადო მოღვაწის მკვლელობა.

— სხვა მხედრიონელთა შესახებ რას იტყვით?

როდესაც საბრალდებო დასკვნის შედგენას დავამთავრებთ, ვეცდები საქართველოს მოსახლეობას გაუწყო 5 წლის განმავლობაში მხედრიონელებმა რა მძიმე დანაშაულობანი ჩაიდინეს.

ეს მასალები ამ 5 წლის მანძილზე გროვდებოდა?

— უფრო სწორად, ეს საქმეები ბოლო წლების მანძილზე გაიხსნა. მხედველობაში მქონე, რთული საქმეები მაქვს. მათზე დასკვნები უკვე დაწერილია, ბევრი საქმე სასამართლოშია გაგზავნილი, ბევრზე განაჩენი უკვე დადგენილია. ყველაფრის აღწერას შეეცდები.

— როგორც ცნობილია, ჯ.იოსელიანი ჩვენებას არ იძლევა. ეს შეუშლის თუ არა ხელს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამტკიცებას?

— რა თქმა უნდა, ბრალდებულის ჩვენებას, მის განმარტებას და თავის დაცვის მოტივებს დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცებათა ანალიზისა და შეფასების დროს, მაგრამ არა გადამწყვეტი. შესაძლებელია ბრალდებულმა გამოძიებასა და სასამართლოს საერთოდ არ მისცეს ჩვენება, მაგრამ მისი ბრალდებისათვის მტკიცებები საკმარისია, სასამართლო განაჩენს დაადგენს.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო 30 წლის წინანდელი ჩემს მიერ გამოძიებული ერთი საქმე. 1968 წ. ცხინვალის რაიონში ვინმე ბეკოევმა სამი უდანაშაულო კაცი მოკლა. მას არც ერთი ჩვენება არ მოუცია არც გამოძიებისთვის და არც სასამართლოსთვის. მაგრამ დანაშაულის მტკიცებები საკმარისი იყო და უმაღლესი სასამართლოს გამოცდილმა სესიამ განაჩენი დაადგინა.

ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენების მოუცემლობით თავიდან აიცილებს პასუხისმგებლობას.

— თქვენ ხან ბატონ რევაზს, ხანაც ბატონ სოსოს გეძახიან, თანაც ოფიციალურად. ჟურნალისტები მიმართვისას ზოგჯერ იბნევიან. ხომ არ განგვიმარტავთ ორივე სახელის არსებობის მიზეზს?

— ეს შეკითხვა პარლამენტშიც დამისვეს. თუ გახსოვთ, მაშინ კუპასუხე: თუ მოფერებას აპირებთ სოსოთი მომმართეთ, თუკი მკაცრად, ან ოფიციალურად მომართვა გინდათ, მაშინ რევაზი დამიძახეთ-მეთქი.

სხვათა შორის ამ ფაქტის შემჩნევლობა აქვს მტკიცებათა ანალიზისა და შეფასების დროს, მაგრამ არა გადამწყვეტი. შესაძლებელია ბრალდებულმა გამოძიებასა და სასამართლოს საერთოდ არ მისცეს ჩვენება, მაგრამ მისი ბრალდებისათვის მტკიცებები საკმარისია, სასამართლო განაჩენს დაადგენს.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო 30 წლის წინანდელი ჩემს მიერ გამოძიებული ერთი საქმე. 1968 წ. ცხინვალის რაიონში ვინმე ბეკოევმა სამი უდანაშაულო კაცი მოკლა. მას არც ერთი ჩვენება არ მოუცია არც გამოძიებისთვის და არც სასამართლოსთვის. მაგრამ დანაშაულის მტკიცებები საკმარისი იყო და უმაღლესი სასამართლოს გამოცდილმა სესიამ განაჩენი დაადგინა.

ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენების მოუცემლობით თავიდან აიცილებს პასუხისმგებლობას.

— თქვენ ხან ბატონ რევაზს, ხანაც ბატონ სოსოს გეძახიან, თანაც ოფიციალურად. ჟურნალისტები მიმართვისას ზოგჯერ იბნევიან. ხომ არ განგვიმარტავთ ორივე სახელის არსებობის მიზეზს?

— ეს შეკითხვა პარლამენტშიც დამისვეს. თუ გახსოვთ, მაშინ კუპასუხე: თუ მოფერებას აპირებთ სოსოთი მომმართეთ, თუკი მკაცრად, ან ოფიციალურად მომართვა გინდათ, მაშინ რევაზი დამიძახეთ-მეთქი.

სხვათა შორის ამ ფაქტის შემდეგ, მოსკოვში, პრესკონფერენციაზე ასეთი შეკითხვა ერთმა ჟურნალისტმა ქალმაც დამისვა. მართლაც გამიკვირდა. ხუმრობით კუპასუხე: — по грузински Coco, а по русский Реваз და დარბაზიც გამხიარულდა. ნამდვილი მიზეზი კი ჯერ არსად არ მითქვამს. მამაჩემს ოთხი გაუთხოვარი და ჰყავდა, რომელთაც ერთი ლამაზი მამაკაცი, სახელად სოსო მოსწონდათ. ალბათ, ეგონათ, მეც მას დავემგავსებოდი. ამიტომ ისინი ამ სახელს უფრო ხშირად მეძახდნენ. ჩემი ორი სახელის გადამკიდე ახლა მეც ვიბნევი ხოლმე და ზოგჯერ ვიტარაკები კიდევაც. ხანდახან ერთი სახელით ვერ მცნობენ, მეორეთი რომ წარვუდგენ თავს, მერე მესალმებიან. ან ასეთი სიუჟეტი წარმოიდგინეთ: ვთქვათ, ვრეკავ სადმე ტელეფონით. ალო, სოსო ვარ. — რომელი სოსო, რეზო? ერთი სიტყვით ყველას ჟურჩევ, ორი სახელის დარქმევას მოეშვან.

— ჩვენი საუბრის ბოლოს ჟურნალისტებისთვის ხომ არა გაქვთ რაიმე სათქმელი?

— ჟურნალისტებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს, რომ ჩემს მიერ მოცემული ინფორმაცია სრული სიზუსტით ასახონ და არ შეალამაზონ იმ ფორმით, რომ შინაარსი დაიკარგოს. ჩვენთვის თითოეულ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის გამო ხშირად დიდ უხერხულობაშიც ვვარდები კოლეგებ-

პროსკენიუმი



თარაზულად: 3. მხარე საქართველოში; 4. თავისუფალი (არა სისტემატურ-მეცნიერული ხასიათის) ფორმის ნარკვევი; 6. ჩაის ბუჩქის ყლორტი; 10. ოსტატობის უდიდეს მიღწევად აღიარებული ნაწარმოები; 11. მხარე კავკასიის მთიანეთში (ჩრდ. კავკასია); 12. დიქტატორ ფრანკოს ზედწოდება (წინამძღოლი); 15. ხელოვნური სპეკულაციური აწევ-დაწევა ფასიანი ქაღალდის კურსისა ან საქონლის ფასებისა; 18. ქართველი საესტრადო მომღერალი; 19; ვახტანგ VI-ის ვაჟი, ცნობილი მეცნიერი; 22. მჭადი, ყველშერეული და ისე გამომცხვარი; 24. მშვიდი, მორჩილი; 28. ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მკვლევარის, ალ.ყიფშიძის ფსევდონიმი; 29. ნუ შესცოდავთ, და საიქიოში განაღდებული გექნებათ... 30. დიდი იტალიელი კომიკოსი; 31. ფუჭი, უშედეგო; 32. მღვდლის სამოსლის ნაწილი.

შვეულად: 1. ესპანელი ფერმწერი (XVII საუკუნე); 2. ვერცხლისწყალი ანუ... 5. აკაკი წერეთლის სამშობლო; 7. მამაკაცის თავსაბურავი; 8. ჩონჩხის ნაწილი; 9. უეჭველი, ესე იგი... 13. ცხენზე მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა; 14. სახელგანთქმული მოკრივე, რომელთანაც მეგობრობდა (ლექსიც მიუძღვნა) გრიგოლ ორბელიანი; 16. შინაური ფრინველი; 17. ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 20. მასპინძლისადმი მიმართვა იმერეთში; 21. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი; 23. ხშირი, დაბურული ტყე; 25. დედალი ცხვარი; 26. ოპტიკური ხელსაწყო; 27. არაჩვეულებრივი, საკვირველი, ესე იგი...

ერთი წელია, რაც დიდ დიღომში ფუნქციონირებს არასახელმწიფო საშუალო სკოლა სახელწოდებით: „დიდი დიღმის დღის პანსიონი“ — გაძლიერებული ინგლისური ენის სწავლებით. ერთი წლის მუშაობისას შეძენილმა გამოცდილებამ იმედიანად განგვაწყო. ვაცხადებთ მიღებას 1996/97 სასწავლო წლისთვის პირველ, მესამე და შევსებას მეორე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე კლასებში. ვინაიდან ადგილები შეზღუდულია, ჩარიცხვა იწარმოებს შერჩევით. „დიდი დიღმის დღის პანსიონ“-თან გახსნილია მუსიკალური სტუდია და სასკოლო თეატრი. **დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ „დიდი დიღმის დღის პანსიონ“-ში მისამართზე: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის ქ.№1ა 199-ე ბაგა-ბაღის შენობა.**

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი: 93-18-41